

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

აიშე ბეიზა ბუიუქჩინარი

საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობები  
XIII-XIV სს-ში (ქართული წყაროების მიხედვით)

სპეციალობა: ისტორია

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

ანოტაცია

ბათუმი  
2019

## შესავალი

**საკვლევი თემის აქტუალობა** - ნაშრომში, „საქართველო-ოქროს ურდოს ურთიერთობები XIII-XIV სს-ში (ქართული წყაროების მიხედვით)“ - ქართულ, ისლამურ და დასავლურ წყაროებზე დაყრდნობით განხილულია ოქროს ურდოს მიერ საქართველოს მიმართ გატარებული პოლიტიკა.

1206 წელს, ჩინგიზ ხანმა ოფიციალურად დააარსა მონღოლთა იმპერია, რომლის დაპყრობებმაც დიდი გავლენა მოახდინა იმდროინდელ მსოფლიოზე. კარგად ორგანიზებული მონღოლთა არმია დიდ და საშიშ ძალას წარმოადგენდა. მონღოლებმა მცირე ხანში ახლო აღმოსავლეთიდან დასავლეთ ევროპამდე არაერთ სახელმწიფოში შეცვალეს სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა. ჩინგიზ ხანმა სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ, სიკვდილამდე მის მფლობელობაში არსებული ტერიტორიები ოთხ ვაჟს გაუნაწილა. ამგვარად, ჩინგიზ ხანის შემდეგ, წარმოიქმნა მონღოლთა სახელმწიფოები, რომელთა ცენტრიც ყარაყორუმი იყო. ოქროს ურდო მათ შორის ერთ-ერთია. XIII ს-ის დასაწყისში (1223 წლიდან) ყივჩაღთა ველის, ყირიმის, ვოლგის ბოლგარებისა და ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიებზე შექმნილი ოქროს ურდო მნიშვნელოვანი სახელმწიფო გახლდათ, რომელსაც ორ საუკუნეზე მეტხანს, 1502 წლამდე, ახლო აღმოსავლეთზე, კავკასიასა და თურქულ სამყაროზე დიდი გავლენა ჰქონდა. ჩინგიზ ხანმა უფროს ვაჟს ჯუჩის დღევანდელი რუსეთის ვრცელი ტერიტორია და ყაზახეთის საზღვრებში შემავალი ყივჩაღთა ველი გადასცა. აღსანიშნავია, რომ ჯუჩის ნაადრევი სიკვდილის შემდეგ ეს რეგიონი მის ვაჟს, ბათოს ხვდა წილად. 1236 წელს ყივჩაღთა ველზე მეორე ლაშქრობაში გამარჯვების შემდეგ უკან დაბრუნებულმა ბათო ხანმა, 1241 წელს მემკვიდრეობით მიღებულ ტერიტორიებზე ოქროს ურდოს სახელმწიფო ოფიციალურად დააარსა.

1220 წლიდან დაწყებულ მონღოლთა თავდასხმების მოგერიებას ქართველები აჯანყებებით ცდილობდნენ. XIII ს-ის მეორე ნახევრიდან მონღოლთა ცენტრალურ ხელისუფლებაში პოლიტიკური დანაწევრება დაიწყო. შეუძლებელია ზუსტი თარიღის დადგენა თუ როდის შევიდა საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიები ჰულაგუს ხანის დაქვემდებარებაში, რომელმაც 1258 წლიდან დააარსა სახელმწიფო, რომლის ცენტრიც იყო ირანის აზერბაიჯანი და მოიცავდა სამხრეთ კავკასიის ტერიტორიებსაც. ჰულაგუს ამ რეგიონში მოსვლამ, ძლიერი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებამ და მისმა ქმედებებმა რეგიონში ოქროს ურდოს და სხვა პოლიტიკური ძალების შეშფოთება გამოიწვია. ბერქე ხანის მმართველობის დროს ოქროს ურდოსთან დაწყებული ბრძოლები ილხანთა საგარეო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი იყო, რომელიც მას დაარსებიდან დანგრევამდე თან გაჰყვა. ილხანები სამხრეთ კავკასიის შენარჩუნებას ცდილობდნენ, მაშინ, როდესაც ოქროს ურდოს საგარეო პოლიტიკა მათი ხელში ჩაგდებასკენ იყო მიმართული. ტრანსკავკასიის ტერიტორიებზე გამავალმა სავაჭრო გზებმა და მდიდარმა სამოვრებმა ორივე მონღოლური ძალის ყურადღება მიიპყრო. რეგიონში ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო ძალის მქონე საქართველო კი სწორედ „სამხედრო პოტენციალის“ გამო მოექცა მონღოლთა ყურადღების ცენტრში, რადგან საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაზე გაბატონება მომლოლათვის ვაჭრობის, მდიდარი მიწების და ძლიერი სამხედრო ძალის ხელში ჩაგდებას ნიშნავდა. ამ მიზეზებიდან

გამომდინარე, აღნიშნულ რეგიონში 1261–1397 წლებში ურიცხვი ბრძოლა და მცირე შეტაკება გაიმართა, რაც მკვეთრად აისახა მასზე. აღსანიშნავია, რომ ბრძოლის ინიციატორი არასდროს ყოფილა ილხანთა სახანო. ოქროს ურდო კი, იმ მიზეზით, რომ ჩინგიზ ხანის ვაჟებს შორის ტერიტორიული საზღვრები განსაზღვრული არ იყო, ყოველთვის პირველი იწყებდა ბრძოლას, თუმცა, იგი ასევე პირველი იჩენდა სამშვიდობო მოლაპარაკებების ინიციატივას. დიპლომატიური მოქმედებები განსაკუთრებით თოხთა ხანის მმართველობის ხანაში, 1294 წელს გააქტიურდა და უზბეკ ხანის მმართველობაში გრძელდებოდა. ნაშრომში არაერთხელ არის აღნიშნული, რომ ოქროს ურდოსა ილხანებს შორის ბრძოლები ძირითადად მდინარე მტკვრისა და დარუბანდის მიდამოებში მიმდინარეობდა.

1266 წლიდან ოქროს ურდო მენგუ თემურთან ერთად ცენტრალურ საყაენოს გამოეყო და დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული გახდა. აქედან მოყოლებული, უკვე საგარეო პოლიტიკაშიც დამოუკიდებლად მოქმედებდა. მენგუ თემურის შემდეგ ტახტზე ასულ ოქროს ურდოს მმართველებს, მართალია, სამხრეთ კავკასიაში იმავე პოლიტიკის გატარება სურდათ, მაგრამ 1282–1300 წწ-ში, საშინაო პრობლემების გამო ახორციელებდნენ. 1291 წელს თოხთა ხანმა ტახტზე ასვლის შემდეგ შიდა საკითხების მოგვარება მოახერხა და ამის შემდეგ, 1303 წლიდან 1397 წლამდე ოქროს ურდოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში სამხრეთ კავკასია კვლავ მთავარ საკითხად იქცა. ამ დროს პერიოდულად იყო მცდელობები საქართველოს სამეფოსთან ურთიერთობების დამყარებისა (მაგ.: თოხთა ხანისა და დავითის ურთიერთობები, **იხ: III თავი**). 1357 წელს კი ოქროს ურდომ მიზანს მიაღწია და თავრიზი დაიპყრო. საქართველოს ნაწილიც მცირე ხნით მის დაქვემდებარებაში მოექცა.

აღნიშნულ ბრძოლებში ქართველები იძულებით მონაწილეობდნენ და პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც ქვეყანა ძლიერ დაზარალდა. ოქროს ურდოს, რომლის პოლიტიკური ცხოვრებაც 1502 წლამდე გრძელდებოდა, ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ანატოლიისა და სამხრეთ კავკასიის ხალხებთან, მათ შორის, განსაკუთრებით საქართველოსთან. 1327 წლიდან, როდესაც ილხანების სახელმწიფო აბუ საიდ ხანის მმართველობის პერიოდში ჩამოშლა დაიწყო, საქართველოს სამეფომ გიორგი ბრწყინვალესთან ერთად აღმავლობის გზას დაადგა. გიორგი V-მ აფხაზეთი და იმერეთი კვლავ საქართველოს დაუქვემდებარა. ოქროს ურდოს სახელმწიფო 1502 წლამდე აგრძელებდა პოლიტიკურ ურთიერთობებს აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან, ანატოლიასთან, ქართველებსა და კავკასიის სხვა ხალხებთან.

ნაშრომში დაწვრილებით განვიხილავთ ოქროს ურდოსა და საქართველოს ურთიერთობებს პოლიტიკურ, სამხედრო, რელიგიურ, ეკონომიკურ, სავაჭრო და სოციალურ კრილში. მისი თითოეული თავი ცხადია ლოგიკურ კავშირშია, მაგრამ ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კვლევაა. მართალია, საქართველოში მონღოლები პირველად 1221 წელს გამოჩნდნენ, მსოფლიო ასპარეზზე მათი გამოჩენისა და ოქროს ურდოს დაარსების ისტორიის გადმოსაცემად ნაშრომის საწყის თარიღად 1206 წელი განვსაზღვრეთ. 1397 წელს, თემურ-ლენგსა და თოხთამიშ ხანს შორის გამართული ბოლო ბრძოლის შემდეგ, ოქროს ურდოს დასუსტება დაიწყო. გამომდინარე იქიდან, რომ

საქართველოში გაბატონება ვერ მოახერხეს, შემდგომი მოვლენები ნაშრომში აღარ შევიტანეთ და ქრონოლოგიური ჩარჩოც XIII-XIV სს-ში მოექცა.

**კვლევის მიზნები და ამოცანები:** ნაშრომში განხილული წყაროები ცხადყოფს, რომ მონღოლთა დაყრობების მთავარ სამიზნეს სამხრეთით არა საქართველო, არამედ აზერბაიჯანი წარმოადგენდა. მაგრამ, იმის გამო, რომ საქართველო და სომხეთიც იგივე რეგიონში იყვნენ, მათი ხელში ჩაგდების მიზნით, მონღოლებმა სწორედ აქეთკენ აიღეს გეზი. ამიტომაც, XIII ს-ის მეორე ნახევრიდან ილხანებისა და ოქროს ურდოს წინააღმდეგობის მთავარი მიზეზი სამხრეთ კავკასიაში გაბატონება იყო. მათ შორის დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლები მკვეთრად აისახებოდა რეგიონზე და, რა თქმა უნდა, შესაბამისად საქართველოზეც. საქართველოზე მონღოლთა გავლენის და ქართველ მეფე-მთავრებთან მათი ურთიერთობის დაწვრილებით მიმოხილვა ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა. შესაბამისად, განვიხილეთ ოქროს ურდოს პოლიტიკა მთელ რეგიონთან მიმართებაში და ძირითადი აქცენტი გავაკეთეთ საქართველოზე. ნაშრომის მთავარი ამოცანაა საქართველოს ირგვლივ განვითარებული მოვლენების კვლევა და ოქროს ურდოს პოლიტიკის განხილვა.

**მეცნიერული სიახლე:** მონღოლების შესახებ, რომლებმაც მსოფლიო ისტორიაში უდიდესი როლი ითამაშეს, ბევრი სამეცნიერო კვლევა და ნაშრომი არსებობს. თუმცა, ოქროს ურდოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორია სამეცნიერო ლიტერატურაში სრულად შესწავლილი არ არის. პირველადი წყაროების სიმცირემ ამ მხრივ გარკვეული სირთულეები წარმოშვა. არ არის დაწვრილებით და სრულად შესწავლილი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა ოქროს ურდოს ურთიერთობები რუსეთის სამთავროებთან, ეგვიპტის მამლუქთა სასულთნოსთან, ბიზანტიასთან. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მისი, განსაკუთრებით კი ნოღაის ჯარის მოქმედებები. აღსანიშნავია, რომ ოქროს ურდომ დიდი გავლენა იქონია მთლიან კავკასიასა და მისი მოსახლეობის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაზე, მაგრამ კავკასიის ქვეყნებთან მისი ურთიერთობების შესახებ ნაშრომი თითქმის არ არსებობს. მკვლევრები, რომლებიც ოქროს ურდოსა და ილხანთა კავშირებს სწავლობენ, დეტალურად არ განიხილავენ საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობებს. სწორედ ამიტომ, წარმოდგენილი ნაშრომი მეცნიერებისთვის გარკვეული სიახლე იქნება.

ნაშრომი ორიენტირებულია კონკრეტულ რეგიონზე და მოიცავს ვრცელ ბიბლიოგრაფიას. იგი ძირითადად სხვადასხვა ენაზე შედგენილ პირველად წყაროებს ეყრდნობა და გამოყენებულია ოქროს ურდოსადმი მიძღვნილი არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევა. გარდა ქართულისა, გამოყენებულია წყაროები ინგლისურ, ფრანგულ, უნგრულ, რუმინულ და თურქულენოვანი წყაროები, რაც ხშირად მოვლენებს და საკითხებს ქართული სამეცნიერო ლიტერატურისგან განსხვავებულად წარმოაჩენს.

**კვლევის მეთოდები:** ნაშრომი, რომელშიც ოქროს ურდოსა და საქართველოს მრავალმხრივი ურთიერთობებია განხილული, ტექსტების და მოვლენების ანალიზის გზით არის დაწერილი. სოციოლოგიური კვლევის ორი მეთოდი არსებობს - „თვისობრივი“ და „რაოდენობრივი“. რაოდენობრივი მეთოდი რიცხვებსა სტატისტიკურ

მონაცემებს ეყრდნობა. ამის მაგალითია ისტორიული დემოგრაფიული კვლევები. წარმოდგენილ ნაშრომში უმეტესად „თვისებრივი კვლევის მეთოდი“ გამოვიყენეთ, რადგან მოცემული საკითხები ძირითადად ეყრდნობა წყაროებს, რომლებიც აანალიტიკურ გააზრებას მოითხოვს. კვლევის დროს ავირჩიეთ მუშაობის გარკვეული ხერხი, რომელიც თანმიმდევრობით შეიძლება შემდეგნაირად გადმოვცეთ:

1. წყაროების დამუშავება (პირველადი და მეორადი წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა);
2. წყაროთა კლასიფიკაცია პერიოდის მიხედვით;
3. წყაროთა ანალიზი (რამდენად არის დაკავშირებული ესა თუ ის წყარო კვლევის თემასთან და სად არის ნაშრომში მისი ადგილი);
4. წყაროების კრიტიკული ანალიზის შედეგად მათი სანდოობის დადგენა;

გამოყენებული წყაროების შეპირისპირების საფუძველზე გამოვიტანეთ დასკვნები. მუშაობის პროცესში ვცდილობდით პასუხი გაგვეცა ყველა იმ შეკითხვაზე, რომელიც ნაშრომის შერჩევის დროს გაგვიჩნდა. მიზნად დავისახეთ, როგორც პირველად, ისე დამხმარე წყაროებსა და სხვადასხვა კვლევებზე დაყრდნობით, გადმოგვეცა ცნობები ოქროს ურდოს მმართველების, მისი პოლიტიკური, სამხედრო და კულტურული ცხოვრების შესახებ.

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:** ოქროს ურდოს გარდა, ნაშრომში მოცემულია ცენტრალური დიდ მონღოლთა იმპერიის, ხვარაზმის, ილხანთა და საქართველოს მეზობელი სხვა ხალხებისა და ქვეყნების სოციალური და პოლიტიკური ისტორია, რაც მის ფართო პერსპექტივაზე მიუთითებს. იგი საინტერესო იქნება არა მხოლოდ საისტორიო, არამედ სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულებით ჩატარებული კვლევების დროსაც. კვლევის შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნას საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებში, ან სხვა ტიპის სამეცნიერო კვლევების დროს. საინტერესოა აგრეთვე სამხრეთ კავკასიაში ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის მიმდინარე ბრძოლების შესწავლის კუთხით. დახმარებას გაუწევს საქართველო-ილხანების ურთიერთობების მკვლევარებს. მასში გამოყენებულია ბევრი ახალი წყარო, რომელიც შეპირისპირებულია მანამდე შექმნილ კვლევებთან. მონღოლთა შესახებ ნაშრომები, ძირითადად რუსულ ქრონიკებსა და ისლამურ წყაროებზე დაყრდნობით იქმნებოდა. ჩვენი ნაშრომი გამოირჩევა ბიბლიოგრაფიული მრავალფეროვნებით. ამ მხრივ იგი ერთგვარი სახელმძღვანელოც იქნება აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

**საკითხის შესწავლის ისტორია:** ოქროს ურდოს შესახებ პირველადი საისტორიო წყაროები მცირე რაოდენობით მოიპოვება, რაც გარკვეულწილად ართულებს მოცემული საკითხების კვლევას. საკითხის ირგვლივ არსებული უმთავრესი წყაროებიდან გამოვიყენეთ ოთემიშ ჰაჯის „ჩინგიზ-ნამე“, აბდულგაფარ ყირიმელის „უმდეთ'ულ აჰბარი“, ოქროს ურდოს იარლიღები და ფირმანები და ნუმიზმატიკური მასალები. გარდა ამისა, ვისარგებლეთ მონღოლური ისტორიოგრაფიული ძეგლით „მონღოლების საიდუმლო ისტორია“. გამოვიყენეთ პერიოდის შესახებ სხვადასხვა ავტორთა ნამუშევრებს.

განსაკუთრებით საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ილხანთა სახელმწიფოსა და მამლუქთა სასულთნოს ისტორიკოსები. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დროს განსაკუთრებით დაგვეხმარა სპარსულენოვანი ილხანური და ეგვიპტის მამლუქთა სასულთნოს არაბული წყაროები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კონკრეტულად ოქროს ურდოსა და საქართველოს ურთიერთობების ამსახველი ცნობები მათში მწირადაა. ისლამურ წყაროებში მოცემული ინფორმაცია ქართული წყაროების ხშირი გამოყენებით გავამდიდრეთ.

საქართველოს ბედი მონღოლთა ბატონობის პერიოდში ვრცლად აქვს აღწერილი უცნობ ქართველ ავტორს, რომელსაც თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია პირობითად ჟამთააღმწერელს უწოდებს. თხზულება შეტანილია „ქართლის ცხოვრების“ კრებულში. მაღალი ღირსებების გამო იგი ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანად არის შეფასებული პირველხარისხოვან წყაროდ, როგორც საქართველოს, ისე მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის შესასწავლად.

მონღოლთა პერიოდს ეძღვნება XIV ს-ის დასასრულს დაწერილი ქსნის ერისთავთა საგვარეულო-გენეალოგიური ისტორია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „ძეგლი ერისთავთა“ სახელით არის ცნობილი.

XIII-XIV სს-ის საქართველოს სახელმწიფო წყობილებისა და სოციალური ურთიერთობების შესასწავლად არაერთი საკანონმდებლო ძეგლი არსებობს. ამ მხრივ აღსანიშნავია: „ბექა-აღბუღას სამართალი“, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდება“, „ხელმწიფის კარის გარიგება“, ასევე უმაღლეს საეკლესიო ხელისუფალთა მიერ კანონიკური განწესებანი ცალკეული ეპარქიებისადმი და სხვა.

უაღრესად მნიშვნელოვანი წყაროა XVIII ს-ის ქართული ისტორიოგრაფიის უდიდესი წარმომადგენლის ვახუშტი ბატონიშვილის თხზულება „აღწერა სამეფოისა საქართველოისა“, რომელშიც იმ პერიოდის საკითხებზე მრავალი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული.

მონღოლთა ბატონობის პერიოდის ისტორია არაერთმა ქართველმა ისტორიკოსმა შეისწავლა. მათი ნაშრომები საინტერესოდ წარმოაჩენს იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ამ მხრივ აღსანიშნავია ცნობილი ქართველი ისტორიკოსის თედო ჟორდანიას „ქრონიკები“. მნიშვნელოვანია სახელგანთქმული ქართველი ისტორიკოსების - ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას შრომები, რომლებშიც უაღრესად საინტერესოდ არის განხილული საქართველოს ურთიერთობები მონღოლებთან და ბევრი ისტორიული ფაქტი პირველად არის მათ მიერ შემოტანილი მეცნიერულ ბრუნვაში.

საქართველოში მონღოლთა ბატონობა საყურადღებოდ აქვს შესწავლილი ისტორიკოს იასე ცინცაძეს, რომლის მონოგრაფია „მონღოლები და მონღოლთა დაპყრობანი“ (თბილისი, 1960), საინტერესოდ წარმოაჩენს ქართველთა ურთიერთობებს ოქროს ურდოსთან; მონღოლთა წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებებს, განსაკუთრებით კობტასთავის აჯანყებას; დავით ულუსა და დავით ნარინის ურთიერთობებს მონღოლ ყაენებთან, განსაკუთრებით ილხანებთან; დემეტრე II თავდადებულის, გიორგი ბრწყინვალის მეფობას და ბევრ სხვა მნიშვნელოვან საკითხს.

საინტერესოა ქართველი მეცნიერის ილია ტაბაღუას ნაშრომები, მათ შორის „საქართველო ევროპის ქვეყნების არქივებსა და წიგნსაცავებში“. ისტორიკოსმა ევროპის

არქივებში დაცულ მასალებზე დაყრდნობით შეისწავლა რუსუდან მეფის წერილები რომის პაპებისადმი, რომელშიც ითხოვდა დახმარებას მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლებში. წერილებში საყურადღებოა წარმოჩენილი რომის პაპების უმოქმედობა საქართველოს მიმართ, რომელიც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა მონღოლთა შემოსევების გამო.

მონღოლთა ბატონობის პერიოდის ქართული ფეოდალური ურთიერთობების ისტორიას საინტერესოდ წარმოაჩენს ბ. ლომინაძე. ასევე აღსანიშნავია ქართველი ისტორიკოსების ვ. გაბაშვილის, რ.კვიციანი, ქ. ჩხატარაიშვილის, მ. წურწუმისა ი. სიხარულიძის, ს. მარგიშვილის, მ. ხოფერიასა და სხვათა ნაშრომები, რომლებშიც წარმოჩენილია იმდროინდელი საქართველოს სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიური და სხვა ისტორიები.

მნიშვნელოვანია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მე-3 ტომი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ეძღვნება მონღოლების საქართველოში შემოსვლას და აქ გაბატონებას, განხილულია თითქმის ყველა საკითხი, რომელიც საქართველოს მონღოლებთან ურთიერთობებს ეხება.

მონღოლთა დაპყრობების ეპიცენტრში მყოფი საქართველოსთვის, ეს პერიოდი განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა. მართალია ქართულმა ქრონიკებმა ბევრ საკითხს მოჰყვინა ნათელი, მაგრამ ზოგიერთი საკითხი პასუხგაუცემელი დარჩა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისლამურ და დასავლურ წყაროებში საქართველოსა და მონღოლეთის ურთიერთობების შესახებ ცნობები მწირია. ამის უმთავრესი მიზეზი რელიგიური ფაქტორი უნდა იყოს. ეს გარემოება ოქროს ურდოს შესახებ წყაროებში ნათლად ჩანს. ბერძენი ხანისა და უზბეკ ხანის მმართველობის პერიოდი, მათი მრწამსის გამო ისლამურ წყაროებში უფრო დაწვრილებით და გულმოდგინებითაა გადმოცემული. ხოლო იმ ხანების შესახებ, რომლებსაც ისლამი არ მიუღიათ, მწირი ცნობები გვხვდება. მაგალითად, ბათო ხანისა და მენგუ ხანის შესახებ. ბათო ხანის ვაჟის სარტაკ ხანის ქრისტიანული აღმსარებლობის გამო მასზე წყაროები ნაკლებ ინფორმაციას გადმოგვცემენ.

წყაროებში ყველაზე დიდი სირთულე ავტორთა მიერ მოვლენების სხვადასხვაგვარი აღწერაა. განსაკუთრებით სომხურ და ისლამურ წყაროებში მოცემულ თარიღებშია სხვაობა. სომხურ წყაროებშიც კი ერთმანეთისგან განსხვავებულ ცნობებს ვხვდებით. აქედან გამომდინარე, წყაროებს შორის განსხვავებული შეხედულებების გადმოსაცემად ყველა მოსაზრება მოვიხმეთ. მაგალითად, 1256 წელს ჰულაგუ ხანის მიერ ალამუთის ციხის აღებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ქართველმა ჯარმა. ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ჰულაგუმ ქართველთა მეფე დააჯილდოვა. ვარდანის ცნობით, ჰულაგუს ბრძოლის შემდეგ მეფე დავითი მასთან მიუწვევია, სებასტაციის ქრონიკის მიხედვით კი, გამარჯვების შემდეგ ჰულაგუ დავით მეფეს მოსანახულებლად საქართველოში ეწვია (**იხ. ნაშრომი, მეორე თავი**). მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაი ვარდანის ცნობა უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია, სებასტაციის ქრონიკის ცნობებიც გადმოვეცით.

ამ პერიოდის მოგზაურებიდან ჯოვანი დიპლანო კარპინი, ვილჰელმ დე რუბრუკი, მარკო პოლო, ებუ აბდულაჰ მუჰამად იბნ ბატუტა ტანჯი, სიმონ დე სანტ კვენტინი, იოჰან შილტბერგი და რუი გონსალეს დე კლავიოს ძეგლებზე მუშაობისას არაერთ კითხვას

გავეცით პასუხი. თოხთამიშისა და თიმურ ლენგის ბრძოლების გადმოცემისას თემურის ისტორიკოსის ნიზამუდინ სამის „ზაფერ-ნამემ“ გაგვიწია დახმარება.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში მოვიძიეთ და ვისარგებლეთ უახლესი გამოცემებით. ბიბლიოგრაფიაში ზოგიერთ მონოგრაფიას ორი განსხვავებული გამომცემლობა აქვს. წიგნის გამომცემლობების მითითებისას ახალი და საჭირო ცნობების მოძიების მიზნით სხვადასხვა გამოცემები იქნა გამოყენებული. ნაშრომში ძირითადი წყაროებისა და ავტორების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია გადმოვეცით.

**დისერტაციის სტრუქტურა და შინაარსი:** სადისერტაციო ნაშრომი მეცნიერული თვალსაზრისით ღირებულია. მასში გაშუქებულია მონღოლთა ცხოვრება, მიზნები, ოქროს ურდოს ურთიერთობები საქართველოსა და სამხრეთ კავკასიასთან.

ნაშრომი შესავლისა და დასკვნითი ნაწილის გარეშე, ოთხი თავისგან, ქვეთავებისგან, ცხრილების, დანართებისა და ბიბლიოგრაფიისგან შედგება. მთლიანობაში დაახლოებით სამასი გვერდია. ნაშრომის ბიბლიოგრაფია ორი ნაწილისგან, პირველადი წყაროებისა და ლიტერატურისაგან შედგება. მთლიანობაში 80-მდე წყარო და დაახლოებით 230 (3 ვებგვერდი) ნაშრომია გამოყენებული.

## **თავი I: ოქროს ურდოს ფეოდალური სახელმწიფოს შექმნა**

მონღოლთა გამოჩენას მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე მნიშვნელოვანი მოვლენები მოჰყვა. ოქროს ურდოს სახელმწიფო, რომელიც მონღოლებს, ყივჩაღებს, თათრებს და სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს აერთიანებდა მონღოლთა ცენტრალურ სახელმწიფოს გამოეყო და შუა საუკუნეების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა. მონღოლთა სახელმწიფოს დაარსებასა და ოქროს ურდოს სახელმწიფოს შექმნის შესახებ სწორედ ამ თავში ვსაუბრობთ. იგი ექვსი ქვეთავისგან შედგება.

**I.1. პირველ პარაგრაფში - „პროტომონღოლები“** მონღოლთა საისტორიო ასპარეზზე გამოჩენამდე მოვლენებია განხილული. შემდეგ კი საუბარია თურქ-მონღოლთა გაყოფაზე, წარმოჩენილია ამ ორი რასის ურთიერთობები და მათი დამოკიდებულება ოქროს ურდოსთან.

### **I.2. ჩინგიზ ხანი და მონღოლეთის იმპერიის გამოჩენა მსოფლიო ასპარეზზე**

მონღოლეთის იმპერიას, რომელიც ვრცელ გეოგრაფიულ არეალს მოიცავდა, უამრავ სახელმწიფოსთან ჰქონდა ურთიერთობა და დღემდე ინტენსიური შესწავლის საგანია. მას 1206 წელს, ჩინგიზ ხანმა ტახტზე ასვლისას ჩაუყარა საფუძველი. აღნიშნულ წელს ჩინგიზ ხანმა მის მიერ მოწვეულ დიდ ყურულთაიზე მონღოლთა იმპერია დააარსა, სამხედრო რეფორმები გაატარა და ახალი სახელმწიფოს კანონები განსაზღვრა. ჩინგიზ ხანმა დაქსაქსული ფეოდალური წყობის მონღოლური ტომების ერთ პოლიტიკურ ძალად გაერთიანება მოახერხა, ამით მათ შორის ურთიერთდაპირისპირებას ბოლო მოუღო, რეგიონში მშვიდობა დაამყარა და საერთო ძალით მოქმედებაზე გადავიდა. ცხადია, რომ ჩინგიზ ხანი ამ ტომებს ერთმანეთთან ბრძოლაში მოპოვებულ ნადავლზე უფრო მეტ სიმდიდრეს დაპყრობითი ბრძოლების შესაძლებლობებით სთავაზობდა. ასე რომ, ჩინგიზ ხანმა ამ პოლიტიკით, ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოს მოსახლეობისა და ჯარის



გაზრდით, უფრო მარტივად განახორციელა დაპყრობები, რამაც ხელი შეუწყო იმპერიის საზღვრების გაფართოებას.

დაქსაქსული ტომების გაერთიანების შემდგომ ჩინგიზ ხანმა დაპყრობითი ბრძოლები დაიწყო, რომლებიც სამი მიმართულებით წარიმართა. აღმოსავლეთით ჩინეთის იმპერიას გაავლო მუსრი. ჩრდილო-დასავლეთით ჯერ რუსეთისკენ, შემდგომ კი აღმოსავლეთ ევროპისკენ გაემართა და ეს რეგიონები გაასწორა მიწასთან. ბოლოს კი, დასავლეთით ირანი დაიპყრო.

სახელმწიფო, რომელიც სამხედრო წარმატებებით დროთა განმავლობაში უფრო და უფრო იზრდებოდა, გარკვეულწილად გავლენას ახდენდა დაპყრობილ ქვეყნებზე. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, მათ შორის კულტურული სინთეზი თითქმის არ შეიმჩნევა. ბუნებრივია, რომ განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონიეს მონღოლებმა თურქულ მოსახლეობაზე, რომელიც მათ მიერ შექმნილი სახელმწიფოს საზღვრებში მრავლად ცხოვრობდა. თურქთა ისტორიის თვალსაზრისით ეს ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით საკუთარი გავლენა იქონიეს მონღოლებმა სამხრეთ კავკასიაზეც. ძლიერი საქართველოს სამეფოს „ოქროს ხანის“ დასასრული სწორედ ამ ძალას უკავშირდება. ამავდროულად ანატოლიაში მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს რღვევაც ქოსედალის ბრძოლაში მონღოლებთან დამარცხებით დაიწყო.

### **I.3. ჩინგის ხანის იმპერიის გადანაწილება მემკვიდრეებს შორის და ჯუჩი ხანი**

XIII ს-ის შუახანებში მონღოლთა სახელმწიფო იმდენად გაიზარდა, რომ მხოლოდ ერთი დედაქალაქიდან მისი მართვა შეუძლებელი იყო. როდესაც ჩინგიზ ხანი ხვარაზმის ლაშქრობიდან დაბრუნდა, მისი ქვეყანა ოთხ ულუსად (სახაკანოდ) დაყო. აღმოსავლეთ ევროპაში მდებარე „ყივჩაღის ველებიდან“ მდინარე ირტიშამდე და სამხრეთით ირანისა და ავღანეთის ცენტრალურ რაიონებამდე გადაჭიმული ვრცელი ტერიტორიები უფროს ვაჟს ჯუჩის მისცა. მავერანაჰრი, დღევანდელი ავღანეთის ტერიტორია, ცენტრალური ტიან-შანის დასახლებული რაიონი და აღმოსავლეთი თურქისტანი მეორე ვაჟს ჩაღათას ერგო. ჯუნგარია - მესამე ვაჟს უგედეი ხანს ხვდა წილად. უმცროს ვაჟის თოღუსის მფლობელობაში დარჩენილი ულუსი მონღოლეთსა და ჩრდილოეთ ჩინეთის მხარეს მოიცავდა. სწორედ თულუსი ხანის შვილიშვილიმა ჰულაგუმ დააარსა შემდგომში ილხანთა სახელმწიფო. ჩინგიზ ხანის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების ვაჟებს შორის გადანაწილებისას, კონკრეტული საზღვრების განსაზღვრა არ მომხდარა, რამაც შემდგომში დაპირისპირებას დაუდო საფუძველი. ამ მოვლენებმა მოგვიანებით იმპერიის დაშლა და დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნა გამოიწვია. აგრეთვე, სხვა პოლიტიკურ წარმონაქმნებს მოუმზადა ნიადაგი.

ჯუჩი ხანის დაბადებისა და გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია. იგი მას შემდეგ დაიბადა, რაც ჩინგიზ ხანის მომავალი ცოლი ბორტე ფუჩინი მერკეტებმა გაიტაცეს და ჩინგიზმა დაიხსნა ის. ასე რომ, „ჯუჩი ჩინგიზ ხანის ღვიძლი შვილია თუ არა?“ ესეც სათუთაა. მისი სახელი „მოულოდნელი სტუმარი“ ამ ეჭვს უფრო ამძაფრებს. წყაროები გვამცნობენ, რომ ჩინგიზ ხანს უფროსი ვაჟი განსაკუთრებით უყვარდა და გარდაცვალების შემდეგ მმართველობა მისთვის უნდა გადაეხარებინა, თუმცა ჯუჩი ხანი მამაზე ადრე გარდაიცვალა. ჩინგიზ ხანის მიერ შვილებს შორის ტერიტორიების გადანაწილების შემდეგ, ჯუჩის ვაჟებმა მამის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიებზე ახალი სახელმწიფო შექმნეს, რომელსაც „ჯუჩის ულუსი“ ეწოდებოდა. მართალია ჯუჩი ხანს

ოქროს ურდო ოფიციალურად არ დაუარსებია, მაგრამ სახელმწიფოს მისი შთამომავლები მართავდნენ.

#### **I.4. ოქროს ურდოს ეტიმოლოგიის შესახებ**

ოქროს ურდო ორმაგი მმართველობის სისტემით წარმოდგენილი პოლიტიკური გაერთიანებაა. ჯუჩის ულუსის მიერ სახელმწიფოს დაარსებისას, „ყივჩალთა ველის“ გეოგრაფიული არეალი ორ ნაწილად იყო წარმოდგენილი. მარცხენა მხარეს ანუ აღმოსავლეთ რეგიონს ბათო ხანის ძმა ორდა–იჩენ ხანი მართავდა, ხოლო მარჯვენა მხარეს ანუ დასავლეთს საინ–ბათო ხანი. აღსანიშნავია, რომ ისინი დამოუკიდებელი სახანოები არ იყვნენ. ეს იყო ორმაგი მმართველობის ფორმა. ბათო ხანისა და მისი ვაჟების დაქვემდებარებაში მყოფი დასავლეთ რეგიონი „აქ ორდად“ („თეთრი ურდო“), ორდა–იჩენისა და მისი შთამომავლების მმართველობაში დაქვემდებარებული სახელმწიფოს აღმოსავლეთ ნაწილი კი „გოქ ორდად“ („ცისფერი ურდო“) იწოდებოდა. ჯუჩის ულუსის ცენტრი, სახელმწიფოს დასავლეთ ნაწილი – „აქ ორდა“, იგივე „ოქროს ურდო“ იყო. სხვადასხვა წყაროებში ეს პოლიტიკური გაერთიანება განსხვავებულად გვხვდება. მაგალითად, რადგან მათ მიერ დაპყრობილი რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობას ყივჩალები წარმოადგენდნენ მას „ყივჩალთა ველს“ უწოდებდნენ და ამ პერიოდის არაბულ წყაროებშიც ოქროს ურდო ამ სახელწოდებით იხსენიება. იგივე არაბულ წყაროებში ქვეყნის სახელწოდება იცვლებოდა მისი მმართველის, ან ქრონიკის შედგენის თარიღის მიხედვით. მაგალითად, „თათრების დიდი ხანის ბერქეს ქვეყანა“, „ჩრდილოეთ ქვეყნების ხანის ოზბექის ქვეყანა“, „ყივჩალთა სტეპების ხანის თოქთას ქვეყანა“, „ბათოს ულუსი“, „ბერქეს ულუსი“ და ა.შ. ტერმინ „ოქროს ურდოს“ წარმოშობასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. იგი ოქროს ურდოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, პირველად XVI ს-ის მეორე ნახევარში, 1564 წლით დათარიღებულ ყაზანის ქრონიკებში გვხვდება.

#### **I.5. ოქროს ურდოში შემავალი ეთნიკური ჯგუფები**

მონღოლები საკუთარ იმპერიაში უმცირესობით იყვნენ წარმოდგენილნი. ისინი სხვა ეთნიკური ჯგუფებს ძალის გამოყენებით და იძულებით აერთიანებდნენ, რის შედეგადაც ეთნიკურად მრავალფეროვანი, ახალი სახელმწიფო წარმოიქმნა. ჩინგიზ ხანის გარდაცვალების შემდეგ მის ვაჟებს შორის გადანაწილებულ ტერიტორიებზე მონღოლთა ახალი სახელმწიფოები შეიქმნა. ისინი საკუთარ რეგიონებში მონღოლთა სახელმწიფოს წესებზე ჩამოყალიბდნენ. ამის საუკეთესო მაგალითია ოქროს ურდოს სახელმწიფო, რომლის ფორმირება მომთაბარე დაპყრობითი გზით მოხდა. სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებზე დაყრდნობით დაარსებული სახელმწიფოში მონღოლები მხოლოდ სამხედრო და ადმინისტრაციულ მმართველებად გვევლინებოდნენ. ოქროს ურდოს მოსახლეობის უმრავლესობას ყივჩალები და თათრები შეადგენდნენ. ნაშრომის ამ ნაწილში ხსენებული ეთნიკური ჯგუფების შესახებ, ცალკეულ ქვეთავებში დაწვრილებითი ცნობებია მოცემული. ყივჩალთა ტომებით დასახლებულ ტერიტორიებზე შექმნილ ოქროს ურდოს პოლიტიკურ გაერთიანებას ჩამოყალიბების პერიოდში „ყივჩალთა ველის“ ქვეყანას – „დემთ-ი ქიფჩაქს“ უწოდებდნენ. ხოლო თათართა სიმრავლის გამო, რომელთა წარმომავლობის შესახებაც დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა, მას თათართა ქვეყანასაც ეძახდნენ. „ყივჩალთა ველად“ ოქროს ურდოს მოხსენიება არ არის საფუძველს მოკლებული, რადგან ჩინგიზ ხანის მიერ სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე, ამ საკმაოდ დიდ გეოგრაფიულ არეალს, შუა აზიიდან წამოსული ყივჩალები თითქმის ორასი წლის

განმავლობაში ფლობდნენ. რაც შეეხება „თათართა სახელმწიფოს“, წყაროებიდან ჩანს, რომ ეს სახელწოდება მისი მოქმედებებიდან გამომდინარე, ომების, დარბევებისა და მარცვების გამო შეარქვეს.

### **I.6. ოქროს ურდოს სახელმწიფოს საზღვრები და დედაქალაქი**

ოქროს ურდო შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პოლიტიკური გაერთიანებაა. სახელმწიფო, რომლის საზღვრებიც მოიცავდა საკმაოდ ფართო გეოგრაფიულ არეალს: ყივჩაღთა სტეპებს, ჩრდილოეთ კავკასიასა და ხვარაზმს. დასავლეთის საზღვრები აღმოსავლეთ ევროპამდე იყო გადაჭიმული. მეზობელ ქვეყნებთან და მისი გავლენის ქვეშ მყოფ რეგიონებთან კი მჭიდრო დიპლომატიურ ურთიერთობებს ამყარებდა.

ეზულ ღაზისა და ჯუზჯანის ცნობების მიხედვით, ჯუჩის ტერიტორიებზე ოქროს ურდოს პოლიტიკური ერთეულის ფორმირება მისი სიკვდილის შემდეგ, 1227 წლის თებერვლიდან, მისმა ვაჟმა, ბათო ხანმა (1227-1256 წწ.) დაიწყო. ამგვარად, იგი გახდა ოქროს ურდოს დამაარსებელი. მისი სარდლობით ყივჩაღებზე განხორციელებული მეორე ლაშქრობის შემდეგ დაარსდა სახელმწიფო, რომელშიც გაერთიანდა ყივჩაღთა ველის დასავლეთი ნაწილი, რომელიც თავის მხრივ მოიცავდა მდინარე ვოლგის აუზსა და კარპატების მთებს დუნაის ნაპირებამდე.

ბათო ხანის მიერ ოქროს ურდოს ოფიციალური დაარსების თარიღია 1241 წელი. ყივჩაღთა მეორე ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ ბათო ხანმა მდინარე ვოლგის მარცხენა ნაპირზე, ვაკე ადგილას ქალაქი „სარაი“ დააარსა, რომელიც სახელმწიფოს ოფიციალური დედაქალაქი გახდა. დედაქალაქის შესახებ დაწვრილებითი ცნობები ნაშრომის მეოთხე თავშია მოცემული.

## **თავი II: ოქროს ურდოსა და კავკასიის ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები (1220- 1266 წწ.)**

წინამდებარე თავში ოქროს ურდოს მმართველების მიერ 1220-1266 წლებში კავკასიაში განხორციელებული პოლიტიკური და სამხედრო მოქმედებებია განხილული. ცალკეული ქვეთავების სახით მოთხრობილია ოქროს ურდოს სახელმწიფოს მონღოლთა ცენტრალური ხელისუფლებისაგან გამოყოფამდე ცალკეული მმართველებისა და მათი კავკასიური, კერძოდ, საქართველოს მიმართ გატარებული პოლიტიკის შესახებ. გადმოცემულია პოლიტიკური ურთიერთობები 1220-1266 წლებში. საუბარია ოქროს ურდოს მმართველების, ბათო ხანის, მისი ვაჟების სარტაკის, ულაქჩისა და ბერქეს შესახებ. განხილულია მათი პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთობები კავკასიის ქვეყნებთან. პირველი ის, რომ აღნიშნული წლები ოქროს ურდოს ოფიციალური ჩამოყალიბების პერიოდია, მაგრამ არა დამოუკიდებლობის. ამ დროს ის დიდ საყაენოს ემორჩილებოდა. ეს დამოკიდებულება თავს იჩენდა პოლიტიკურ და სამხედრო გადაწყვეტილებებში. დამოუკიდებელი ოქროს ურდო განსხვავებულ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა. მეორე მიზეზი ის არის, რომ 1220-1266 წლებში მონღოლებმა ბევრჯერ ილაშქრეს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ტერიტორიებზე. მონღოლები საქართველოში პირველად 1221 წელს მოვიდნენ, ხოლო ქვეყნის დაპყრობა 1232 წლით თარიღდება. ამ შუალედში ოქროს ურდო ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. 1241 წლიდან, ოქროს ურდოს ჩამოყალიბების

შემდეგ, საქართველოსა და მონღოლებს შორის ურთიერთობაში გადამწყვეტ როლს ბათო ყაენი თამაშობდა. ნაშრომის ამ ნაწილში ეს ურთიერთობებია გადმოცემული. საქართველოში მონღოლთა პირველი მოსვლისა და მათი შემდგომი მოქმედებების განხილვის დროს მივედით იმ აზრამდე, რომ საქართველო არასდროს არ ყოფილა მათი მთავარი სამიზნე. მათი ლაშქრობები ძირითადად აზერბაიჯანისკენ იყო მიმართული და ომებმა მძიმე შედეგები მოუტანა საქართველოსა კავკასიის სხვა ხალხებს.

ნაშრომის მეორე თავი ხუთი თავისა და ცალკეული ქვეთავებისგან შედგება.

## **II.1. ოქროს ურდოს სახელმწიფოს ჩამოყალიბება და კავკასიური დაპყრობები**

მონღოლთა იმპერიის დაარსების დროს დაიწყო ლაშქრობები ჩრდილოეთ კავკასიაში. ეს ლაშქრობები ჩინგიზ ხანის პერიოდს უკავშირდება და მათი მიზანი იყო მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგობის გატეხვა. საკვლევ პერიოდზე ზოგიერთი თარიღის დაზუსტებით მითითება შეუძლებელია, რადგან პირველად წყაროებში განვითარებული მოვლენების შესახებ განსხვავებული ცნობებია მოცემული. თუმცა სომხური, ქართული და ისლამური წყაროებში მონღოლების საქართველოში პირველად მოსვლის თარიღი 1221 წელია, მისი დაპყრობის თარიღი კი 1232 წელი. სამხრეთ კავკასიის რეგიონში მონღოლთა პირველი მოსვლის დროს ოქროს ურდოს სახელმწიფო ჯერ კიდევ არ არსებობდა, ე.ი. აქ ჩინგიზ ხანისა და მისი ვაჟების ჯარი უნდა მოსულიყო. ქართველებთან პირველი დაპირისპირების დროს მონღოლები პარალელურად აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში აწყობდნენ ლაშქრობებს, თუმცა მათთვის სამხრეთ კავკასია უფრო მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენდა. თავდაპირველად საქართველო მონღოლთა პირდაპირ სამიზნეს არ წარმოადგენდა. იგი ძირითადად დაინტერესებული იყო ირანისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებით. მონღოლთა მიერ საქართველოს დატოვების შემდეგ, 1222-1223 წლებში, აქ ყივჩაღთა თავდასხმები დაიწყო. ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული ყივჩაღები შირვანს, აზერბაიჯანსა და საქართველოს ესხმოდნენ თავს და ძარცვავდნენ. ამ დროს სუბუდაი და კებე ნოინების მეთაურობით მონღოლები ჩრდილოეთ კავკასიისკენ დაიძრნენ. 1223 წლის 31 მაისს მდინარე კალკასთან გამართულ ბრძოლაში მონღოლებმა ყივჩაღებისა და რუსების გაერთიანებული ჯარი დაამარცხეს. ეს ლაშქრობა ყივჩაღთა ველზე პირველი ლაშქრობის სახელითაა ცნობილი. ამ ბრძოლით მონღოლებმა ყივჩაღთა ველისა და რუსთა სამხედრო პოტენციალი შეისწავლეს. ეს ბრძოლა მონღოლებისა და რუსების პირველი დაპირისპირება იყო.

## **II.2. ცვლილება საქართველოს ტახტზე და ახალი პრობლემა: ხვარაზმშაჰები**

ცენტრალურ აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპის ვრცელ ტერიტორიებზე მონღოლთა ინტენსიური ექსპანსიის პარალელურად საქართველოს სამეფო ტახტზე ცვლილებები მოხდა. მემკვიდრის გარეშე დარჩენილი ლაშა-გიორგის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი და, რუსუდანი ავიდა. გახშირებული თავდასხმების, მეფის მოულოდნელი სიკვდილისა და სატახტო ცვლილებებით გამოწვეული საშინაო პრობლემები ხვარაზმშაჰებთან დამარცხების მთავარი მიზეზი გახდა.

ოთხი წლის წინ მონღოლთა დაპყრობისგან გადარჩენილ საქართველოში, ჯერ სატახტო ცვლილება დაიწყო, შემდეგ კი ხვარაზმშაჰების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. 1225 წელს ქართველები ხვარაზმელებს დაუპირისპირდნენ და მრავალრიცხოვან მტერთან დამარცხდნენ.

ჯალალედინმა ამარჯვება ბოლომდე ვერ იხეიმა. თავრიზში აჯანყების შესახებ შეიტყო და მის ჩასახშობად გაემართა. მომდევნო, 1226 წლის 10 მარტს, თბილისში მცხოვრები სპარსელების დახმარებით ხვარაზმელებმა ქალაქი დაიკავეს. ჯალალედინ ხვარაზმმაჰმა ლაშქრობის შემდეგ განჯისკენ აიღო გეზი, ქართველები კი მოქმედებაზე გადავიდნენ და თბილისი დაიბრუნეს.

ჯალალედინი ფიქრობდა, რომ ქართველები მას წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ და ქვეყანას ადვილად დაიპყრობდა, რის შემდეგაც აქ დასახლდებოდა, თუმცა შეცდა.

### **II.3. ბათო ხანი მიერ სახელმწიფოს შექმნა და ლაშქრობები (1227-1256 წწ.)**

ჯუჩის ნაადრევი სიკვდილის შემდეგ ბათო და ორდა ვერ შეთანხმდნენ, ვის უნდა აეღო ხელთ მმართველობის სადავეები და ჩინგიზ ხანს სთხოვეს გადაწყვეტილების მიღება. ჩინგიზ ხანმა ბათო ხანის ტახტზე ასაყვანად ყივჩაღთა ველზე ელჩი, სახელად უჩთექინი გააგზავნა. ბათო ხანმა ელჩი დიდი პატივით მიიღო. უჩთექინმა ჩინგიზ ხანის დავალებით ბათო მმართველად გამოაცხადა და ბაბუის დანაბარები გადასცა. ბათო ხანის დაბადების სავარაუდო თარიღია 1207 წელი, ხოლო 1255 ან 1256 წელს კი გარდაიცვალა. მონღოლეთის იმპერიაში პატივსაცემი და გამორჩეული ბათო ხანი, გოიუქ ხანის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ასვლის პრეტენდენტი იყო, თუმცა მან უარი განაცხადა და მენგუ ხანს დაეხმარა მის დაკავებაში. 1236 წელს ბათო ხანმა ყივჩაღთა ველზე მეორედ ილაშქრა და გამარჯვებით უკან დაბრუნებულმა 1241 წელს მემკვიდრეობით მიღებულ ტერიტორიებზე ოფიციალურად დააარსა ოქროს ურდოს სახელმწიფო. იგი აღნიშნული სახანოს დამაარსებლად ითვლება. შემდეგ დააარსა დედაქალაქი „სარაი“, რომელიც მისი რეზიდენცია იყო და ელჩებსა და სტუმრებს ღებულობდა.

ბათო ხანი, ოქროს ურდოს დაარსების შემდეგ, უგედის შემდეგ ტახტზე ასული გოიუქ ხანისა და მენგუ ხანის მმართველობის დროს დიდ მონღოლთა საყენოს ექვემდებარებოდა. ოქროს ურდოს სახელმწიფო ოფიციალურად დაარსდა, თუმცა სრული დამოუკიდებლობა არ ჰქონდა. საშინაო საქმეებში დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა, საგარეო პოლიტიკის გატარებისას კი დიდ საყენოს ემორჩილებოდა. უგედის დროს მონღოლთა მიერ დაპყრობილ კავკასიასა და ოგედის ცოლის მმართველობის პერიოდში დაპყრობილ მცირე აზიის სელჩუკთა სასულთნოს მიწებზე ბათო ყენის მმართველობა არ ვრცელდებოდა, თუმცა, ამ რაიონში მყოფ მონღოლთა არმიას ჩინგიზ ხანის შთამომავალი ნოინები მართავდნენ. ასე რომ, ამ გადასახედიდანაც ბათო ყენი ზემოხსენებულ რეგიონთან ტერიტორიულად ყველაზე ახლო მყოფი და გამოცდილი მმართველი იყო.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ჯალალედინმა 1225-1230 წლებში თბილისი, სომხეთი, ქართლი, თრიალეთი და სამცხე-ჯავახეთი, არტაანი, ტაო, კარნიფორი და ანისი დაიპყრო. მაგრამ ამ დროს უფრო ძლიერი და ორგანიზებული მონღოლთა არმიის იერიშები დაიწყო. ოგედის ყენის ბრძანებით ნოინები - ჩარმადანი, ბენალი და მულარი კვლავ დაიძრნენ არანისა და საქართველოს სამეფოს წინააღმდეგ და ხელთ იგდეს სხვადასხვა ქალაქი და ციხესამაგრე.

1232 წელს ოგედიმ, ჩარმადან ნოინის მეთაურობით მონღოლთა ჯარი უკვე მეორედ გამოაგზავნა სამხრეთ კავკასიაში. მონღოლთა ამ შემოსევის შედეგად აღმოსავლეთი დასახლებები სრულიად განადგურდა. საქართველოში მეორე შემოსევის დროს მონღოლთა ხსენებულმა ნოინებმა დაპყრობილი ტერიტორიები გაინაწილეს. ქართლი, სომხეთი, არტაანი დაიპყრეს და ირგვლივ ქვა ქვაზე არ დატოვეს. ნოინებისა და

აღნიშნული მოვლენების შესახებ „ქართლის ცხოვრებასა“ და სომხურ ქრონიკებში დაწვრილებითი ცნობებია მოცემული. საქართველოს დედოფალი რუსუდანი მონღოლთა მეორეჯერ შემოჭრის დროს იძულებული გახდა ქუთაისში გაქცეულიყო.

მონღოლების გამანადგურებელი შემოსევების შედეგად მოსახლეობა და ფეოდალები მათ საკუთრებაში არსებულ გამაგრებულ ადგილებს შეეხიზნენ. წყაროები ცხადყოფს, რომ მონღოლთა ლაშქრობები რეგიონს მძიმედ დააწვა. ქართველებისა და მონღოლების პირველი შეთანხმება ბათო ხანის დროს დაიდო. შეთანხმება ივანე ათაბაგის შვილმა ავაგმა დადო. მის შესახებ ბევრი ცნობა არ გაქვს, თუმცა ამ პერიოდის შემდეგ საქართველო მონღოლთა დაქვემდებარებაში შევიდა. პირველადი წყაროების საერთო ცნობით შეთანხმება შემდეგ საკითხებზე დაიდო:

ლაშა-გიორგის ძე დავითი, რომელსაც გვირგვინი მცხეთაში დაადგეს, მონღოლებს ყარაყურუმში უნდა წაეყვანათ. ავაგ მხარგრძელი კი ქართლისა და თბილისის მართვის სადავეებს აიღებდა ხელში და სამხედრო ძალას გაგზავნიდა სამხრეთ მონღოლეთის ცენტრში, ბათოს სამყოფელოში, სარაიში

გრიგოლ აკანელი განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით წერს, რომ მონღოლთა შემოტევების შემდეგ, სომეხმა და ქართველმა მთავრებმა მათთან სამშვიდობო შეთანხმებას მოაწერეს ხელი. მათ ქონებისა და სანოვანის ბეგარა დაეკისრათ და ცხენოსნები უნდა გაეგზავნათ იქ, სადაც მონღოლები მოითხოვდნენ.

ქართველებს ყოველწლიურად 40.000<sup>1</sup>-50.000 პერპერა უნდა გადაეხადათ. და ბოლოს, მონღოლებს რუსუდანის ვაჟი დავითი აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ უნდა ეცნოთ.

ამ პერიოდის წყაროების მიხედვით, ქართულ ჯარს მონღოლთა ლაშქრობებში უნდა მიეღო მონაწილეობა. ამ შეთანხმებიდან ცოტა ხნის შემდეგ, 1243 წელს ქოსედალის ბრძოლაში ანატოლიის სელოჩუკების წინააღმდეგ მონღოლთა ლაშქრის მარჯვენა ფლანგზე ქართული ჯარი იბრძოდა.

მონღოლებმა საქართველოში დასახლების შემდეგ დედაქალაქსა და სხვა დაპყრობილ ტერიტორიებზე მათთვის დამახასიათებელი ვითარება შექმნეს. ქვეყანა რვა დუმანად დაჰყვეს რაც ათი ათასიან რვა ნაწილს ნიშნავდა. საქართველოში მონღოლთა მმართველობა ჯარს ეფუძნებოდა, რადგან მათი ცხოვრების წესი მასზე იყო დამოკიდებული. საქართველო კი მმართველობის ამ ფორმას მიჩვეული არ იყო.

**ცხრილი: მონღოლთა დუმანები საქართველოს ტერიტორიაზე**

დუმენი	მხარეები	მმართველები
1	ჰერეთი, კახეთი, კამბეჩოვანი, თბილისი და შამახიას მთამდე	ეგარსლან ბაკურციხელი
2	მთელი სომხეთი	ვარამ გაგელი
3	სომხეთის მხარეები	შანშე მხარგრძელი
4	ქართლი	გრიგოლ სურამელი

<sup>1</sup>1230-1245 წწ. გადასახადის რაოდენობაა.

5	ჯავახეთი	გამრეკელ თორელი
6	მესხეთი	ყვარყვარე ჯაყელი
7.	დასავლეთ საქართველოს ერთი ნაწილი	ცოტნე დადიანი
8.	დასავლეთ საქართველოს მეორე ნაწილი	რაჭის ერისთავი

ცნობილია, რომ ჩრდილოეთში რუსებთან გამარჯვების შემდეგ ბათო ხანი, სამხრეთით ირანსა და შემოგარენში არეულობით სამხრეთ კავკასიაში გამოწვეული პრობლემების აღმოფხვრას ცდილობდა. ამ პერიოდში, დავით ულუსა და დავით ნარინის საკითხს ბათო ხანი უშუალოდ ადევენებდა თვალყურს, რის გამოც 1241 წლიდან მის სიკვდილამდე ანუ 1255 წლამდე ოქროს ურდოსა და საქართველოს სამეფოს შორის ურთიერთობები ინტენსიურად მინდინარეობდა. ვინაიდან, ქალაქი სარაი საქართველოსა და ყარაყორუმს შორის მდებარეობდა, რუსუდან დეოდაფალი მონღოლებთან არსებულ პრობლემებს ბათო ხანის შუამდგომლობით აგვარებდა, რაც მისი მდებარეობით აიხსნება. ეს გარემოება გვაფიქრებინებს რომ, სამხრეთ კავკასიაში მყოფი მონღოლთა ძალები ოქროს ურდოს ექვემდებარებოდა.

ეს პროცესი ქართველებსა და მონღოლებს შორის მონარქიული ავტორიტეტის აღიარებასაც ნიშნავდა და უარყოფასაც. ანუ, მონღოლები დაპყრობილი ხალხის და მმართველი წრეების მდგომარეობას ნაწილობრივ აღიარებდნენ და ნაწილობრივ არა. რუსუდანის სიკვდილის შემდეგ ეს პროცესი უფრო ნათელი გახდა, როდესაც ახალმა ტახტის პრეტენდენტებმა და ისეთმა წრეებმა, რომელთაც ეროვნული ცნობიერება და მმართველობის ამბიციის ჰქონდათ, მონღოლთა წინააღმდეგობა დაიწყეს.

#### **II.4. სარტაკ (აზბეგ) ხანი**

ბათო ხანის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე რიგ-რიგობით მისი შვილები სარტაკ ხანი და ულაქი ხანი ავიდნენ, თუმცა მცირე ხნით, რის გამოც პოლიტიკური და სამხედრო მოქმედებების გამხორციელება ვერ შეძლეს. სარტაკ ხანი, 1245 წლიდან რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში მნიშვნელოვანი ფიგურაა. საქართველოს წინააღმდეგ მისი ლაშქრობის შესახებ არაფერია ცნობილი. წყაროებიც მის შესახებ მწირ ცნობს გადმოგვცემენ. ისლამურ წყაროებში არსებული ინფორმაციის გარდა სარტაკ ხანის შესახებ ყველაზე დეტალურ ცნობებს ვილჰელმ რუბრუკის მოგზაურობებში ვხვდებით. დასავლური და ისლამური წყაროები სარტაკ ხანის ქრისტიანობაზე წერენ. სხვადასხვა ცნობებია მისი გარდაცვალების შესახებ. ნაშრომის ამ ნაწილში აღნიშნული საკითხები დაწვრილებითაა გაშუქებული. სარტაკ ხანის გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი ულაქი ხანმა დაიკავა, რომლის შესახებაც წყაროებში თითქმის არაფერს ამბობენ. უფრო მეტიც, ზოგიერთ წყაროში იგი საერთოდ გამოტოვებულია და ბათო ხანის შემდეგ პირდაპირ ბერქე ხანის ტახტზე ასვლაზეა საუბარი.

#### **II.5. ბერქე ხანის მმართველობა (1256-1266 წწ.)**

ბერქე ხანის მმართველობა ოქროს ურდოს სახელმწიფოს ფორმირების წარმატებული პერიოდია. მმისა და მმისშივლებისგან განსხვავებით ბერქემ ისლამი მიიღო. ოქროს ურდოს მმართველებს შორის პირველი მუსლიმი მმართველი იყო და

აღმსარებლობამ განაპირობა მისი საგარეო პოლიტიკაც. ბერძენ ხანის მრწამსმა განაპირობა ეგვიპტელ მამლუქთა სასულთნოსთან პოლიტიკური და მეგობრული ურთიერთობების დაწყება. ამ პოლიტიკური მეგობრობის დაწყების მიზეზი იყო 1258 წელს ჰულაგუს მიერ დაარსებული ილხანთა სახელმწიფოს მიერ ბაღდადის დაპყრობა, რითაც ისლამურ სამყაროს დიდი დარტყმა მიაყენა. რელიგიური სიახლოვით შექმნილი კავშირი გახდა ხანგრძლივი ომების მიზეზი, რომლის ეპიცენტრსაც კავკასია წარმოადგენდა.

ჩინგიზ ხანის იმპერიის გადანაწილების დროს ზუსტი საზღვრები არ დადგენილა, რის გამოც კავკასია ორი ძმის ულუს – ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის საუკუნეზე მეტ ხანს მიმდინარე ბრძოლების საბაზი გახდა. აზერბაიჯანისა და საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, სამოვრები და კლიმატი ოქროს ურდოსა და ილხანთა ყურადღებას იქცევდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩინგიზ ხანის პერიოდში დასავლეთში დაპყრობილ მიწებს მონღოლეთიდან გაგზავნილი მოხელეები და სამხედრო პირები მართავდნენ. ახალდაპყრობილი მიწების ცენტრიდან დაშორებამ, მონღოლთა მმართველობის სისტემის არაერთგვაროვნებამ, დაპყრობილი ხალხების, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ადგილობრივთა დიდმა წინააღმდეგობამ და სხვა გარემოებებმა მონღოლთა ჩანაფიქრის განხორციელებას დასავლეთით ხელი შეუშალა. უფრო მეტიც, საფრთხის ქვეშ იდგა დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნება. ამიტომ, დიდმა ყაენმა მენგუმ, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა და აღმოსავლეთით და დასავლეთით საზღვრების გაფართოების მიზნით, მისი ძმები ყუბილაი ჩინეთში, ჰულაგუ კი ახლო აღმოსავლეთში გააგზავნა. 1251 წლის 1 ივლისს, ყურულთაიზე მიღებული გადაწყვეტილებით, ორივე უფლისწულს მონღოლეთის არმიის მეხუთედი უნდა მიეღო. დინასტიის სხვა წევრებიც საკუთარი ძალების შესაბამისად უნდა ჩართულიყვნენ ლაშქრობებში. მენგუ ყაენის გარდაცვალებისა და შექმნილი ახალი გარემოებების გამო, ჰულაგუ და ყუბილაი დაკისრებული მოვალეობის შესრულების შემდეგ, დედაქალაქ ყარაყურუმში აღარ დაბრუნებულან და მათ ტერიტორიებზე, ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული ორი მონღოლური სახელმწიფო დააარსეს. ამგვარად, ჰულაგუ ხანმა, იმ პირობით, რომ 1294 წლამდე ყარაყურუმში მყოფ დიდ ყაენს დაქვემდებარებოდა, ახალი პოლიტიკური გაერთიანება შექმნა.

ჰულაგუ 1255 წელს მრავალრიცხოვანი ლაშქრით ირანში, სირიაში, სომხეთში, საქართველოსა და არანში შეიჭრა. ამავე წელს მან სამარყანდამდე მიაღწია, სადაც ორმოც დღეს გაჩერდა. აქედან დღევანდელი უზბეკეთის ისტორიულ ქალაქ ქეშში (ქარში) ჩავიდა. აქ მასთან სელჩუკთა სახელმწიფოდან იზედინ ქეიქავუსი და რუქნადინ ქილიჩარსლანი, სპარსეთიდან ათაბაგ მუზაფერ ედუნის ვაჟი ათაბაგ საადი, ხორასნიდან, ირანიდან, აზერბაიჯანიდან, არანიდან, შირვანიდან და საქართველოდან მმართველები და დიდებულები ეახლნენ. მისულთა შორის იყო მეფე დავითიც. იგი ძვირფასი საჩუქრებით წარსდგა ჰულაგუს წინაშე. მეფეს პატივი მიაგეს და მისცეს საქართველოს მმართველობის უფლება, სხვა ნოინების მსგავსად მოექცნენ და მონღოლური ტიტული მიანიჭეს. ეს ფაქტი დიპლომატიურად ნიშნავდა იმას, რომ იგი საქართველოს მიიჩნევდა როგორც მონღოლთა საყაენოზე დაქვემდებარებულ ქვეყანას. ილხანთა ბრძოლებში ქართული ძალები მონღოლთა რიგებში იბრძოდნენ. ამ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლა ოქროს ურდოსა და ილხანთა სახელმწიფოებს შორის მიმდინარეობდა. ქართველთა ჯარი ოქროს ურდოს წინააღმდეგ იბრძოდა. მიუხედავად ამისა, ილხანთა მიერ საქართველოზე



დაკისრებულმა მძიმე გადასახადებმა და მუდმივმა ლაშქრობებმა ხელისუფლება და ხალხი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო, რის გამოც მათ წინაარმდეგ დავით ულუსა და დავით ნარინის აჯანყებები დაიწყო.

ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის ბრძოლების პირველი ეტაპი ჰულაგუს მიერ ბაღდადის დაპყრობისა და აბასიანთა სახალიფოს დამხობის შემდეგ, 1260 წლიდან დაიწყო. ილხანთა მიერ აზერბაიჯანის დაპყრობა, საზღვრის დარუბანდთან გავლება და მათ ტერიტორიებზე მყოფი ოქროს ურდოს ვაჭრების ამოხოცვა ბრძოლის დაწყების საბაზი გახდა. ჰულაგუსა და ბერქე ხანს შორის ბრძოლის მიზეზები შეიძლება შემდეგი სახით ჩამოვაცალიბოთ:

- ჯუჯის ულუსის აზერბაიჯანზე ბათო ხანის დროიდან დაწყებული პრეტენზიის საპირისპიროდ, ჰულაგუს მიერ თავრიზის დედაქალაქად გამოცხადება აზერბაიჯანის საკუთარ ტერიტორიად გამოცხადება.
- ბათო ხანის გარდაცვალების შემდეგ ჰულაგუს მიერ ჩინგიზ ხანის ბრძანების შესაბამისად ყოველწლიური გადასახადის შეწყვეტა.
- ჰულაგუს მიერ ბაღდადისა და სხვა ისლამური ქვეყნების აოხრება, რაც მუსლიმი ბერქე ხანისთვის მიუღებელი იყო.
- აღმოსავლეთ აზიაში მდებარე დედაქალაქში მენგუ ყანის გარდაცვალების შემდეგ ტახტისათვის დაწყებული ბრძოლა, რომელშიც ბერქე ხანი არიქ-ბულას უჭერდა მხარს, ხოლო ჰულაგუ კი მის ძმას ყუბილას. მართალია ბრძოლა ამის გამო არ დაწყებულა, თუმცა საკმაოდ გაამწვავა მდგომარეობა.
- ორივე ულუსს კასპიის ზღვის სამხრეთ ნაწილის და ხვარაზმის რეგიონის ხელში ჩაგდება სურდა.
- ჰულაგუს და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ მუსლიმი ეგვიპტის მამლუქების მიერ ბერქე ხანის პროვოცირება.
- ჩინგიზ ხანმა ვაჟებს შორის ტერიტორიების გადანაწილებისას აზერბაიჯანი ჯუჯის გადასცა, შესაბამისად მისი ულუსი ილხანებისგან კუთვნილ ტერიტორიას ითხოვდა.

ბერქე-ჰულაგუს პირველი დაპირისპირება 1262/1263 წელს დაიწყო და ბერქეს გარდაცვალებამდე, 1266 წლამდე გაგრძელდა. შედეგად 1262 წელს ბერქემ ჰულაგუ დაამარცხა. 1265 წელს ჰულაგუ ხანის გარდაცვალების შემდეგ მის ნაცვლად ტახტზე ასულმა აბაკა ხანმა ბერქე ხანის წინააღმდეგ იგივე პოლიტიკა გააგრძელა. იმავე წელს მდინარე მტკვრის სანაპიროზე ილხანები და ოქროს ურდოს ძალები ერთმანეთის პირისპირ დაბანაკდნენ. ბერქემ წყალი გადალახა და თბილისისკენ დაიძრა, რის შემდეგაც ილხანებზე თავდასხმას ფიქრობდა. მაგრამ არ დასცალდა, რადგან 1266 წელს გარდაიცვალა. ჰულაგუს მიერ დაარსებული ილხანთა სახელმწიფოს ცენტრის აზერბაიჯანისა და არანის საქართველოსთან მეზობლობამ მიმდინარე პროცესებში ქართველების მჭიდროდ ჩართვა განაპირობა, რამაც მძიმედ შედეგები მოუტანა ქვეყანას. ქართველები ხშირად გამოდიოდნენ ილხანთა წინააღმდეგ, ან ხშირად ხდებოდნენ მათი მოწინააღმდეგეების თავშესაფარი, რაც ამ მხრივაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს. ბერქე ხანის შემდეგ ოქროს ურდოს სახელმწიფოს მმართველები 1394/1395 წლამდე განაგრძობდნენ სამხრეთ კავკასიაზე პრეტენზიას. 1262 წლიდან ოქროს ურდოსა და ილხანთა ბრძოლები სამხრეთ კავკასიაში ხანგრძლივ ფაზაში გადავიდა.

### **თავი III: ოქროს ურდოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები კავკასიის ქვეყნებთან მისი აღმავლობის ხანაში (1265-1397 წწ.)**

ყუბულაი ხანის მმართველობის პერიოდში ცენტრალური საყაენოს ცენტრი ყარაყორუმიდან პეკინის მახლობლად, ჰანბალიქში გადაიტანეს, რამაც დამოუკიდებელი მონღოლთა სახანოების წარმოქმნა განაპირობა. ეს მოვლენები ბერქე ხანის მმართველობის ბოლო პერიოდს დაემთხვა და მისი სიკვდილის შემდეგ ტახტზე ასულმა მენგუ თემურმა ოქროს ურდო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. ამიტომაც დამოუკიდებელი ოქროს ურდოს ხანა ცალკე თავში გამოვიტანეთ.

ნაშრომის მესამე თავი ათი პარაგრაფისგან შედგება. ქრონოლოგიური ჩარჩო განვსაზღვრეთ იმით, რომ ამ წლებში ოქროს ურდომ დიდ საყაენოსგან სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა. საქართველოსთან სხვადასხვა სახის ურთიერთობები კი 1397 წლამდე გრძელდებოდა. აღნიშნული მოვლენები ქართულ, სომხურ, არაბულ და სპარსულ წყაროებზე დაყრდნობით არის გადმოცემული. ამ დროს ქართველები რამდენჯერმე აუჯანყდნენ ილხანებს, რის გამოც დროდადრო კავშირს კრავდნენ ოქროს ურდოსთან.

#### **III.1. ბერქე-აბაკას ბრძოლები**

1265-1282 წლებში საქართველოს სამეფოზე აბაკას დიდი გავლენა ჰქონდა, ვინაიდან იგი ილხანების დაქვემდებარებაში შედიოდა. 1260 წლის დასაწყისიდან ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები, რომელიც განსაკუთრებულად აისახებოდა სამხრეთ კავკასიასა და მის მოსახლეობაზე ეგვიპტის მამლუქთა სასულთნოს, მისი მოკავშირე ოქროს ურდოსა და ილხანთა სახანოს ურთიერთობების შედეგი იყო. ილხანთა მონღოლები ორ ფრონტზე იბრძოდნენ. მათ შეძლეს ბერქე ხანის შემდეგ ოქროს ურდოს უკან ჩამოტოვება. ჰულაგუსგან განსხვავებით, მისი მემკვიდრის აბაკას უპირველესი საგარეო მტერი ეგვიპტის მამლუქთა სახელმწიფო იყო.

#### **III.2. მენგუ თემურის კავკასიასთან ურთიერთობები (1266-1281 წწ.)**

ბერქე ხანს მემკვიდრე არ ჰყავდა, ამიტომაც მისი გარდაცვალების შემდეგ, 1266 წლიდან, ჯუჩის ულუსს სათავეში მისი ძმიშვილი და ბათო ხანის შვილიშვილი, თოგანის ვაჟი - მენგუ თემურ ხანი ჩაუდგა სათავეში. ახალი ხანი საშინაო და საგარეო პოლიტიკა განსხვავებული კურსით არ გამოირჩეოდა. მან მისი წინამოებედის კურსი გააგრძელა და ქვეყანაში ძირეული ცვლილებები არ მოუხდენია. ოქროს ურდო მენგუ თემურის მმართველობის დროს სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. 1266 წელს ყირიმში პირველი ფული მოიჭრა, რომელსაც მენგუს სახელი ეწერა.

მენგუ თემურისა და მოგვიანებით ტუდა მენგუს მმართველობის დროს ოქროს ურდოს საშინაო პოლიტიკაში ხშირად ფიგურირებს სახელი „ნოღაი“. მართალია, მენგუ თემურმა თექვსმეტწლიანი მმართველობის დროს ოქროს ურდოს დამოუკიდებლობა მოუტანა, მაგრამ ნოღაის გაძლიერებამ ოქროს ურდოს სახელმწიფოს საფრთხე შეუქმნა. მენგუ თემურის საგარეო პოლიტიკაში ილხანები, ბიზანტიელები და პაპები პირველ რიგში იყვნენ. სამხრეთ კავკასიაში მისი პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა აბაკასთან ბრძოლაა. მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა კი, 1271 წელს მენგუ თემურის ჯარისკაცების სტამბოლზე გალაშქრებაა. მენგუ თემურმა ბერქე ხანზე ნაკლები ლაშქრობა მოაწყო, თუმცა მოახერხა მანამდე დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნება. დიდი

ყენის ყუბილას რჩევით, 1269/1270 წელს ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის სამშვიდობო შეთანხმება დაიდო.

მენგუ თემურის ტახტზე ყოფნისას საქართველოში 1269 წელს თეგუდარის შვილის აჯანყება დაიწყო. 1277 წელს ელბისტანის ბრძოლაში და 1282 წელს ხუმსის ბრძოლაში ქართველები ილხანთა რიგებში იბრძოდნენ.

მენგუ თემურმა მამლუქთა სულთან ბაიბარსის წაქეზებით აბაკა ხანის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მზადება დაიწყო. ეზ-ზეჰების გადმოცემით, ტახტზე ასვლის შემდეგ აბაკას წინააღმდეგ ჯარი გააგზავნა. აბაკამ ჯარი შეკრიბა და არმიას სათავეში ჩაუდგა. აბაკამ მდინარე მტკვარზე ორი ხიდი ააშენა, შემდეგ კი მენგუ თემურის ტერიტორიებზე გადავიდა. მენგუ თემურმა საპასუხოდ მდინარე ვოლგაზე ჯარი გაგზავნა, რომელიც აღმოსავლეთ მხარეს დაბანაკდნენ, აბაკა კი დასავლეთ მხარეს იმყოფებოდა. ბრძოლაში, მენგუ თემური დამარცხდა. აბაკამ და მისი ჯარისკაცები ნადავლით უკან გაბრუნდნენ. მტკვარს მიუახლოვდნენ და მდინარეზე ხის ციხის აშენება გადაწყვიტა. თბილისის საზღვრებიდან მთელი ტერიტორია აიზომა და ყველა მეთაურმა გასაკეთებელი საქმე გაინაწილა. შვიდ დღეში ციხესიმაგრე ააშენეს. ეზ-ზეჰების გარდა, თბილისის მახლობლად ამ ციხის აშენების შესახებ ცნობას სხვაგან ვერ ვხვდებით. ბერქე ხანსა და ჰულაგუ ხანს შორის დაწყებული უთანხმოება მათ მემკვიდრეებს აბაკასა და მენგუს შორისაც გრძელდებოდა. ამ უკანასკნელთა შორის დაპირისპირება გასულ პერიოდთან შედარებით არც თუ ისე მძიმე იყო. ოქროს ურდოს საფრთხის წინააღმდეგ 1275/1276 და 1279/1280 წლებში ილხანები გამოსაზამთრებლად შირვანს სტუმრობდნენ, მათთან ერთად ქართველთა დამხმარე ძალებიც იმყოფებოდნენ.

### **III.3. არეულობის ხანა ოქროს ურდოში**

ნოღაიმ, რომელმაც ბერქე ხანის პერიოდში დაიწყო გაძლიერება, შემდგომში თუდა მენგუს ფსიქიკური არამდგრადობით ისარგებლა და უფრო და უფრო მოიკრიბა ძალები. ამ არეულობის ჟამს ნოღაი თუდა მენგუს „თანამოზიარე მმართველი“ იყო. ცნობილია, რომ ნოღაი, თუდა მენგუს, თულა ბუკას და თოხთას (თოხთადა) პერიოდში ოქროს ურდოს სატახტო საკითხებს წყვეტდა. მდინარე დუნაიდან დონამდე ტერიტორიებზე გავლენა გააძლიერა და თულა ბუკას მმართველობის პერიოდში დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ნოღაის მიერ ოქროს ურდოში ამხელა ძალაუფლების მოპოვებას წყაროების უმრავლესობა 1282-1287 წლებში ოქროს ურდოს მმართველის თუდა მენგუს ფსიქიკურ მდგომარეობით ხსნის. თულა ბუკას, მისი მცირეხნიანი მმართველობის პერიოდში ნოღაის ჩამოშორება არც უხდია. თუდა მენგუს ხანაში სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვანი მოვლენა არ განვითარებულა, თუმცა 1288 წელს აზერბაიჯანის ხელში ჩასაგდებად ჯარი გაგზავნა. თულა ბუკამ ილხანებთან გარკვეული დროით შეწყვეტილი ბრძოლა კვლავ განაახლა. ამ დროს ილხანთა მმართველი არღუნ ხანი (1284-1291 წწ.) 1288 წლის 5 მაისს მოქმედებაზე გადავიდა და 9 მაისს მდინარე მტკვარი გადალახა. „ქართლის ცხოვრება“ ამ მოვლენების გადმოცემისას ხშირად ახსენებს სიტყვას „დარუბანდელეები“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დარუბანდი ოქროს ურდოს სახელმწიფოს საზღვრებში იყო მოქცეული. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ოქროს ურდოს ჯარები არღუნის მეთაურობით დარუბანდისკენ დაიძრნენ. არღუნის გვერდით საქართველოს მეფე დემეტრე II-ც იმყოფებოდა. წყარო გადმოგვცემს, რომ არღუნი და დემეტრე ერთად იბრძოდნენ და დიდძალი ალაფი იგდეს

ხელთ, ქალაქები კი გადაწვეს. ილხანთა წინააღმდეგ ოქროს ურდოს შემდეგი ლაშქრობა 1290 წელს დაიწყო. კვლავ ოქროს ურდოს სამხრეთ კავკასიაზე პრეტენზიის გამო.

თულა ბუკამ ტახტზე ასვლისთანავე, კრაკოვის ბრძოლის შემდეგ ნოღაისთან ურთიერთობის გამწვავების გამო, მისი მოკვლა გადაწყვიტა. ნოღაიმ ამის შესახებ გაიგო და თულა ბუკას დედას წერილი გაუგზავნა, სადაც წერდა, რომ მისი შვილი ახალგაზრდა იყო და სახანოს საქმეებში შეეძლო საკუთარი გამოცდილება გაეზიარებინა და ამის გამო მასთან შეხვედრა სურდა. დედამ წერილის შესახებ თულა ბუკას უამბო, რომელმაც მოისმინა დედის სიტყვა და ნოღაისთან შეხვედრას დათანხმდა. თულა ბუკასთან იმყოფებოდა თოხთა ხანიც. თულა ბუკასთან შეხვედრისას ნოღაის მხლებლები მას მოულოდნელად დაესხნენ თავს. ნოღაის ბრძანებით თოხთამ თულა ბუკა მოკლა და ოქროს ურდოს ტახტზე თვითონ ავიდა

#### **III.4.1291-1295 წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენები**

1291 წელს არღუნის გარდაცვალების შემდეგ, ილხანთა ტახტზე გეიხათუ ხანი ავიდა. ამავე წელს ოქროს ურდოს ტახტზე თოხთა ხანი ავიდა. ამ მოვლენებზე მცირე ხნით ადრე საქართველოს სამეფო ტახტზე, დემეტრე II-ს სიკვდილის შემდეგ, ვახტანგ II ავიდა. ქართველი დიდებულები უკმაყოფილონი იყვნენ მისი მმართველობით და მის მაგივრად დემეტრეს ვაჟის დავითის გამეფება სურდათ. ვახტანგის შევიწროების დაწყებიდან მალევე, 1292 წელს მეფე უეცრად ავად გახდა და გარდაიცვალა. 1293 წელს კი დავით ნარინი გარდაიცვალა. დავით ნარინის გარდაცვალების შემდეგ მის ვაჟებს კონსტანტინეს, მიქაელსა და ალექსანდრეს შორის ტახტისთვის ბრძოლა დაიწყო. სამეფოს მართვის სადავეები უფროსმა ვაჟმა კონსტანტინემ აიღო ხელთ, თუმცა რაჭისა და არგვეთის მმართველი მიქაელი შეეწინააღმდეგა მას, რამაც სამეფოს გაყოფა გამოიწვია. ამ დროს გორს ოსები დაესხნენ თავს. გეიხათუ ხანმა ჯარი გაგზავნა და ოსები გააძევა და მისი წყალობით სიმშვიდემ დაისადგურა. ამ პერიოდში საქართველოს მეფე არ ჰყავდა, რაც არეულობის მთავარი მიზეზი იყო. გეიხათუ ხანმა, დემეტრე II-ის ვაჟი დავითი მასთან დაიბარა და „*თუკი მიერთვულე, გვირგვინს დაგადგამ და ქვეყანასაც შენ გიბოძებო*“ შესთავაზა. ეპისკოპოს სტეფანოსის ქრონიკაში ნათქვამია, რომ არღუნმა დემეტრე მეფის ადგილზე დავითი აიყვანა და თბილისში გაგზავნა. ამის შემდეგ კი საქართველოს ჯარს სათავეში ყუთლუბულა ჩაუდგა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით დავითი გამეფების შემდეგ ყუთლუბულას, შაჰინშაჰისა და ქართველი დიდებულების გაერთიანებული დიდძალი ჯარით თბილისში გაემგზავრა. დავითი მცირე ხანში სამცხის გარდა მთელ საქართველოს მართავდა.

გეიხათუ ხანის დროს ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის სამხრეთ კავკასიაში მართალია პრობლემა არ შექმნილა, მაგრამ ოქროს ურდოდან მომდინარე საფრთხის გამო ყუთლუბულა და სხვა დიდებულები მულანში დასახლდნენ. გარკვეული ხნის შემდეგ კი ყუთლუბულა საქართველოს არმიას ჩაუდგა სათავეში. 1293 წლიდან, არღუნის პერიოდში გაძლიერებულმა ყუთლუბულამ გეიხათუს ხანაში დასუსტება დაიწყო. რეშიდუდინის ცნობით, იმავე წელს, უცნობი მიზეზით, ქართველი სადუნის მისგან ყუთლუბულას სასჯელი მუღია. ოქროს ურდოში ფეოდალებს შორის დაპირისპირება მოხდა, რის გამოც ამ პერიოდში მის თავდასხმებს ადგილი არ ჰქონია. არც გეიხათუ ხანს გამოუყენებია ოქროს ურდოში არსებული მდგომარეობა თავის სასარგებლოდ.

#### **III.5. თოხთა ხანის ურთიერთობა კავკასიასთან (1291-1313 წწ.)**

როგორც უკვე აღვნიშნეთ თულა ბუკას მოკვლის შემდეგ ოქროს ურდოს ტახტი მენგუ თემურის ვაჟმა თოხთა ხანმა დაიკავა. ოთემიშ ჰაჯის თქმით, თოხთა ხანი ძალიან კარგი მმართველი იყო და ბათოს ვაჟებს შორის ძალიან ცოტა თუ შეედრებოდა მას.

თოხთა ხანმა მმართველობის პირველი წლები ნოღაისთან ბრძოლას შეაღწია. მასთან უთანხმოება 1294 წელს დაიწყო. თოხთა ხანის ტახტზე ასვლიდან 9 წლის შემდეგ ნოღაი „კუგენლიკის ბრძოლაში“ დამარცხდა და გარდაიცვალა. თოხთამ, ნოღაის ჩამოშორებით, ოქროს ურდოში არსებულ პოლიტიკურ არეულობას ბოლო მოუღო და ქვეყანაში წერიგი დაამყარა. მან ნოღაისგან მაგალითი აიღო და ბიზანტიასთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნება მოახერხა. თოხთა ხანისთვის მმართველობის პირველი წლები მძიმე აღმოჩნდა. შინა ომების გამო ხალხი განადგურებული იყო. ამას დაემატა 1300–1302 წლებში გვალვები შავიზღვისპირეთში, რამაც თოხთა ხანის ქვეყნის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. მიუხედავად ყველაფრისა, თოხთა ხანის მმართველობის დროს, რომელიც საკმაოდ დიდ ხანს გაგრძელდა, ოქროს ურდოს საზღვრები გაფართოვდა. ქალაქები, სარაი ბათო და სარაი ბერქე (იენი სარაი/ახალი სარაი) საწარმოო და სავაჭრო ცენტრებად იქცა. კავკასიის გზების კონტროლის ქვეშ მოქცევამ სავაჭრო ურთიერთობები უფრო გამოაცოცხლა. თოხთა ხანი აქტიურად იყო ჩართული ეკონომიკური განვითარების საკითხებში. მან მკაცრი ზომები მიიღო გენუელების კოლონიების წინააღმდეგ და მმართველობის სისტემის მოწესრიგება შეძლო. საშინაო პრობლემების გამო არეული ოქროს ურდოს ავტორიტეტი კვლავ გაძლიერდა.

საშინაო პრობლემების მოგვარების შემდეგ, თოხთა ხანმა წინამორბედი მმართველების მსგავსად აზერბაიჯანსა და საქართველოზე თავის უფლებამოსილების გავრცელება სცადა. 1297-1303 წლებში გაზან ხანთან, 1304-1312 წლებში კი ოლჯაითუ ხანთან დაამყარა პოლიტიკური ურთიერთობა. 1295 წელს ილხანთა ტახტზე გაზან ხანი ავიდა. შიდა პრობლემების მოგვარების შემდეგ „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, 1297 წელს საქართველოს მეფეს დავითს წერილი გაუგზავნა და თავისთან დაიბარა. მეფემ კახეთ-ჰერეთისკენ აიღო გეზი და აზნაურებთან ერთად ჰერეთში გაჩერდებოდა. ხანის კარზე წასვლასთან დაკავშირებით მან რჩევა იკითხა და ურჩიეს, რომ აუცილებლად უნდა წასულიყო, რასაც დავითი არ ეთანხმებოდა. მეფემ მთიულეთისკენ აიღო გეზი და ჟინვალში თავდაცვით პოზიციაზე გადავიდა. მთიულეთში ყოფნის დროს უმცროსი ძმა ვახტანგი ოქროს ურდოში გააგზავნა და დააბარა, რომ გაზან ხანზე თავდასხმისათვის შეეძლოთ საქართველოს გზა გამოეყენებინათ. თოხთა ხანმა შეთავაზება მოიწონა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მონღოლთა მოსვლის შემდეგ ქართველები მათ ბევრჯერ აუჯანყდნენ, მაგრამ ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის დაპირისპირებაში ყოველთვის ილხანთა მხარეს იჭერდნენ. დავითის გონივრული ნაბიჯით ოქროს ურდომ სამხრეთ კავკასიაში მოკავშირე იპოვა, ქართველ მეფეს კი შესაძლებლობა მიეცა კვლავ მოქმედებაზე გადასულიყო. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებულ კვლევებში ერთხმად ხაზგასმულია, რომ დავითის ამ ნაბიჯმა ოქროს ურდოს მისცა შესაძლებლობა, რომ კვლავ გამოეცხადებინა თავისი პრეტენზიები. აღნიშნული მოსაზრება სინამდვილეს შეესაბამება, თუმცა მოძველებულია. მიუხედავად იმისა, რომ ოქროს ურდოს სახელმწიფო შიდა პრობლემების მოგვარებით იყო დაკავებული, მისი პრეტენზია აზერბაიჯანის მიმართ სულ რჩებოდა ძალაში. იგი მხოლოდ და მხოლოდ შესაფერის დროს ელოდებოდა. მონღოლთა გამოჩენიდან მოყოლებული, ეს აღნიშნული ფაქტი საქართველოს სამეფოსა

და ოქროს ურდოს შორის მოკავშირეობის პირველი შემთხვევა იყო. დავითის ეს ნაბიჯი კარგი მცდელობა იყო ილხანთა საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

დავით მეფის ოქროს ურდოსთან მოკავშირეობის შედეგად საქართველოში აჯანყება დაიწყო, რამაც 1297 წელს გაზან ხანის ყურამდე მიაღწია. ამ დროს იგი თავრიზიდან არანში მიდიოდა გამოსაზამთრებლად. რადგან ადრე საქართველოში ცხოვრობდა, ამიტომ საქართველოში გაგზავნილ დიდძალ ჯარს ამირა ყუთლუქშაჰი ჩაუყენა სათავეში. ჯარი პირველად თბილისში შეიჭრა. „ქართლის ცხოვრება“ ამ მოვლენას დაწვრილებით გადმოგვცემს. საქართველოში შეჭრის შემდეგ, ყუთლუქშაჰმა დავითს ელჩი გაუგზავნა და გაზან ხანის ერთგულებასა და მშვიდობიანი ურთიერთობის გაგრძელებას სთხოვდა, ილხანთა მტრის მხარეს დგომას კი არ ურჩევდა. თანხმობის შემთხვევაში კი ამაზე პასუხისმგებელი პირების მასთან გაგზავნას ითხოვდა. მეფემ კათალიკოს აბრაამის, თბილისის ყადისა და სხვა სასულიერო პირების შუამავლობით სიცოცხლის ხელუხლებლობის უზრუნველყოფის მიზნით მძევლები და ფიცის დადება მოითხოვა. დავით მეფის აჯანყება გაზან ხანის წინააღმდეგ და ოქროს ურდოს სახელმწიფოსთან ურთიერთობა ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებია. 1302 წლისთვის, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქვეყანაში მომხდარი მონღოლთა თავდასხმებისა და მარცვის შედეგად, საქართველო უმძიმეს მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. ქვეყანაში მკა-თესვა შეწყდა და შიმშილობა დაიწყო. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა ქართლის მოსახლეობამ სამცხისაკენ დაიწყო გადასახლება.

აღსანიშნავია, რომ ოქროს ურდოს, რომელიც საშინაო პრობლემების მოგვარებით იყო დაკავებული, ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიის მიმართულებით პოლიტიკის გატარებაზე უარი არ უთქვამს. ნოღაის გავლენამ ხელისუფლებაზე ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. თოხთა ხანის მიერ ნოღაის ჩამოშორების შემდეგ, აზერბაიჯანზე უფლებამოსილების მოთხოვნის ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს მეფის, დავით IV-ის გადადგმული ნაბიჯი იყო. დავითის და თოხთას, შემდგომში კი გიორგი V-ის ოქროს ურდოსთან ურთიერთობის შედეგი იყო ის, რომ ილხანებმა საქართველოში ვახტანგი გაამეფეს. ყველაფრის მიუხედავად, დავითის გაზან ხანისადმი დაპირისპირებამ თოხთა ხანს გამბედაობა შეჰმატა. თოხთასა და გაზან ხანს შორის მართალია მცირე მასშტაბის დაპირისპირება იყო, მაგრამ ოქროს ურდომ ილხანებთან ორჯერ გაგზავნა ელჩები. ამ დროისთვის არსებული დაძაბულობა დიპლომატიური გზებით წყდებოდა, თუმცა ოქროს ურდოს აღნიშნული პოლიტიკური პოზიცია გაზან ხანისთვის საფრთხეს წარმოადგენდა. დავით IV-მ შეაფასა რა არსებული მდგომარეობა, საქართველოს სამეფოსთვის მომგებიანი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. 1304 წელს, გაზან ხანის გარდაცვალების შედეგად, ილხანთა მმართველის ოლჯაითუ ხანისა და თოხთა ხანის ურთიერთობები, წინა წლებთან შედარებით, უპრობლემოდ განვითარდა. 1291-1313 წლებში, თოხთა ხანის მმართველობის დროს, ოქროს ურდომ ჩრდილოეთ კავკასიაში წარმატებებს ვერ მიაღწია, მაგრამ, როგორც ელ-მუფადალი გადმოგვცემს, 1308 წლისთვის თოხთა ხანის მფლობელობა დარუბანდიდან ყივჩაღთა ველებზე და ხვარაზმიდან კონსტანტინოპოლის საზღვრებამდე ვრცელდებოდა.

**III.6. ოქროს ურდოსა და ილხანთა ურთიერთობები უზბეკ ხანის პერიოდში (1313-1340 წწ.)**

რადგან ვაჟი არ ჰყავდა, თოხთა ხანის სიკვდილის შემდეგ, 1313/1314 წელს ტახტზე მისი ძმის თულრულის ვაჟი უზბეკი ავიდა. ბერქე ხანის მსგავსად, უზბეკ ხანმა მმართველობის მერვე, 1320 წელს ისლამი მიიღო. ოღონდ, განსხვავება ის იყო, რომ მის დროს ისლამი ოქროს ურდოს სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია გახდა და მთელს ქვეყანაში გავრცელდა. უზბეკ ხანის მმართველობის წლები ოქროს ურდოს სახელმწიფოს ისტორიაში ცნობილია როგორც „ოქროს ხანა“. ქვეყანაში ჩატარდა რეფორმები, დაარსდა ახალი ქალაქები.

უზბეკ ხანის პერიოდის სოციალური ცხოვრებისა და ეკონომიკური ვითარების შესახებ ცნობები დაწვრილებით არის აღწერილი იბნ-ი ბატუტას მოგზაურობის წიგნში, რომელიც 1333 წელს ყირიმში მოსვლისა და უზბეკის ქვეყანაში მოგზაურობისას დაწერა. ავტორი უზბეკ ხანს მუჰამედ უზბეკ ხანად მოიხსენიებს და მისი თქმით, ის სამყაროს შვიდ მმართველთაგან ერთ-ერთია. განსაკუთრებით საკვირველია, რომ უზბეკის სამფლობელოში ქალები მამაკაცებზე მალა იდგნენ. იბნ-ი ბატუტა დაწვრილებით აღწერს უზბეკ ხანის ყოველდღიურ ცხოვრებასა და მოგვითხრობს მის შვილებსა და ოჯახზე.

საგარეო პოლიტიკაში, უზბეკ ხანი, ცნობილი მიზეზების გამო ეგვიპტესთან მეგობრულ ურთიერთობას ამჯობინებდა. მოახერხა რუსული სამთავროების დამორჩილება. მის დროს ჯუჩის ულუსის აღმოსავლეთ ნაწილში, გოქ-ორდაში არეულობა დაიწყო, სადაც ზედიზედ ხდებოდა სატახტო ცვლილებები. ტახტი მუბარეკ ჰოჯამ დაიკავა და საკუთარ სახელზე ფული მოჭრა და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ახალმა სახანომ მხოლოდ ექვსი თვე იარსება. იგი უზბეკ ხანმა გაანადგურა, რის შემდეგაც ჯუჩის ულუსის აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ სიღნაკში თავის ვაჟი თინიბეკ ხანი გაგზავნა და რეგიონი ცენტრალურ აქ-ორდას დაუქვემდებარა. ამგვარად, ოქროს ურდოს ორმაგი მმართველობის სისტემა დასრულდა და გოქ-ორდას დინასტიამ არსებობა შეწყვიტა.

უზბეკ ხანმა 1313-1316 წლებში ოლჯაითუ ხანთან, 1316-1335 წლებში კი აბუ საიდ ხანთან დაამყარა ურთიერთობები. ოლჯაითუ ხანთან ურთიერთობა დიპლომატიური გზით, ელჩების გაცვლით ხორციელდებოდა. წყაროები გვამცნობენ, რომ ელჩები ქვეყნებს შორის საქართველოს გავლით მიდიოდნენ. აბუ საიდთან ურთიერთობები უფრო ინტენსიურად მინდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ აბუ საიდი ილხანთა მმართველი იყო, სწორედ მისი მმართველობის ხანაში დაიწყო ილხანთა სახელმწიფომ დაშლა. თუმცა, უზბეკ ხანმა ეს მდგომარეობა მის სასარგებლოდ საკმარისად ვერ გამოიყენა. ამის პარალელურად საქართველოში ილხანთა მმართველობის წინააღმდეგ აჯანყებებს ჰქონდა ადგილი. მაგალითად, იმის გამო, რომ ამირა ქურმიში ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის დაპირისპირებაში ილხანთა მხარეს არ გამოვიდა, ილქანებმა მისი დასჯა გადაწყვიტეს და ამას აჯანყება მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ გიორგი V, საქართველოს ჯარის მეთაურის, ამირა ქურმიშის აჯანყების ჩახშობაში აქტიურად იყო ჩართული. უზბეკ ხანის საგარეო პოლიტიკის მიზანს მხოლოდ სამხრეთ კავკასია რომ არ წარმოადგენდა, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ მას ეს მდგომარეობა თავის სასარგებლოდ არ გამოუყენებია.

ილქანთა სახელმწიფოში აბუ საიდზე დიდი სახელის მქონე ამირა ჩობანის ქართველ მმართველებთან მეგობრული ურთიერთობის შესახებ არაერთი წყარო გვამცნობს. ამირა ჩობანმა ილხანებზე დაქვემდებარებული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებიდან ბექას შვილების მმართველობის ქვეშ მყოფი მესხეთი და

სამცხე-საათაბაგო, დავით ნარინის შვილების დაქვემდებარებაში არსებული რეგიონები და სხვა ქართული სამთავროები, ანუ მთელი საქართველო გიორგის გადასცა. გიორგი V-მ სადავეები ჩაიბარა და სომხითს, კახეთ-ჰერეთს, ქართლს, მესხეთს, ტაოს, შავშეთს, კლარჯეთსა და სპერიდან ზღვამდე გადაჭიმულ მთელ ტერიტორიებს მართავდა. საქართველოს ტახტზე მეორედ ასული გიორგის მმართველობის პირველი ხანა 1327 წლამდე გრძელდებოდა, როდესაც ის თბილისს მართავდა და ამირა ჩოხანთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. მეორე ხანა კი, 1327-და 1346 წლამდე, ანუ მის სიკვდილამდე გრძელდებოდა. მართალია, ამ დროს მან თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოზე კონტროლი დაკარგა, სამაგიეროდ დასავლეთ საქართველოში მყარად მოიკიდა ფეხი. როდესაც ილხანთა სახელმწიფო დაშლას იწყებდა, საქართველოში გიორგი V-ის ხელისუფლება აღზევდა. აფხაზეთი და იმერეთი კვლავ საქართველოს შემოუერთდა.

1327 წელს, ამირა ჩოხანის გარდაცვალების შემდეგ, ნოინებმა დამოუკიდებლად მოქმედება დაიწყეს და ირანში, ხორასანში, ერაყში, აზერბაიჯანსა და ანატოლიაში მიმოიფანტნენ. ამ დროს, გიორგი V-მ მისი სამფლობელო მონღოლებისაგან გაწმინდა. მოახერხა ყველა ერისთავის დამორჩილება, განსაკუთრებით კი ქართლში. პოზიციები გაიმყარა და დარუბანდამდე მთელი ტერიტორიები მმართველობის ქვეშ მოაქცია. გიორგი V-მ საქართველოში ახალი რეფორმები გაატარა.

ილხანებსა და ოქროს ურდოს შორის დაპირისპირება ძირითადად დარუბანდის საზღვართან და მდინარე მტკვრის მიდამოებში ხდებოდა. წყაროებიდან ვგებულობთ, რომ ბრძოლები უშუალოდ საქართველოს ტერიტორიებზე მიმდინარეობდა. ცხადია, რომ ეს ლაშქრობები რეგიონს დიდ ზიანს აყენებდა.

უზბეკ ხანის დროს ოქროს ურდოს საგარეო პოლიტიკაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. იგი სამხრეთ კავკასიაშიც იმავე პოლიტიკას აგრძელებდა. ბრძოლების მუხედავად, უზბეკ ხანის მმართველობაშიც ოქროს ურდომ თავის მიზნებს ვერ მიაღწია.

### **III.7. ჯანიბეგ ხანის მმართველობა და ურთიერთობა კავკასიასთან (1340-1357 წწ.)**

1340 წლისათვის, უზბეკ ხანის გარდაცვალების შემდეგ, მისი ორი ვაჟიდან უფროსი, თინიბეგი გოქ-ორდას დედაქალაქ სიღნაკში რომ მმართველობდა ეს ზემოთაც აღვნიშნეთ. იბნ-ი ბატუტას მიხედვით, უზბეკ ხანის მემკვიდრე თინიბეგი მამის გარდაცვალების შემდეგ მცირე ხნით ტახტზე ავიდა, მაგრამ მოკლეს და ტახტი ჯანიბეგ ხანმა დაიკავა. ჯანიბეგმა საგარეო პოლიტიკაში მამის გზა გააგრძელა, თუ არ ჩავთვლით ბალკანეთის საკითხებს. ჯანიბეგ ხანმა ოქროს ურდო არა მხოლოდ ტერიტორიულად გააფართოვა, არამედ ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით გაამდიერა იგი. მხარს უჭერდა განათლებასა და მეცნიერებას.

ჯანიბეგის მმართველობის პერიოდში ჩინეთში და შუა აზიაში თათარ ტომებს შორის შავმა ჭირმა იფეთქა, რომელიც 1346 წლიდან ოქროს ურდოსა და ყირიმში გავრცელდა. იმავე წელს აზოვში მყოფი გენუელი ვაჭრების საშუალებით კაფაში, იქედან კი ჯარისკაცებს შორის გავრცელდა. შავი ჭირით ყირიმში 85 ათასი კაცი მოკვდა. ეპიდემია კვიპროსის გავლით ეგვიპტეს, იქიდან კი სირიას მოედო. ხმელთაშუა ზღვის გავლით დასავლეთ ევროპაში მიაღწია. ოქროს ურდოს ამ პერიოდის საგადასახადო აღწერის ცნობები არ მოგვეპოვება, რაც შესაძლებელს გახდიდა წარმოდგენა გვექონოდა გარდაცვლილთა რიცხვზე. თუმცა, ფაქტია, რომ ეპიდემიამ ოქროს ურდოს ყველა მხრივ სერიოზული დარტყმა მიაყენა.



ილხანთა სახელმწიფოს დაშლის დასაწყისში ოქროს ურდო თავის პრეტენზიას აზერბაიჯანზე კვლავ აცხადებდა. რეგიონში მიმდინარე შიდა ომებმა, ჯანიბეგს აზერბაიჯანის დაპყრობა, წინამორბედებთან შედარებით გაუმარტივა. სამხრეთ კავკასიაში წარმოქმნილი არეულობის დროს, თურქულ-მონღოლური წარმომობის ამირა ჩობანის შვილიშვილმა, თემურთაშის ვაჟმა მელიქ ეშრეფმა თავრიზსა და ამ რეგიონში გაბატონება მოახერხა. წყაროების მიხედვით, მელიქ ეშრეფის ცუდი მმართველობა და საშინელი პიროვნული თვისებები მოსახლეობას ძალზე აწუხებდა. ამიტომაც მოვლენები ჯანიბეგის სასარგებლოდ განვითარდა. რადგან ოქროს ურდო წლების განმავლობაში ამ ტერიტორიებზე პრეტენზიას აცხადებდა, უკმაყოფილო მოსახლეობის მაღალი ფენის წარმომადგენლები ჯანიბეგეაზნენ და ქვეყნის დაპყრობაში დახმარება აღუთქვეს. ეს მოვლენები გვიჩვენებს, რომ აზერბაიჯანში ჯანიბეგს ერთგული ადამიანები ჰყავდა. 1357 წელს ჯანიბეგმა თავრიზი დაიპყრო. მცირე ხანს იქ დაჰყო, შემდეგ კი მისი ვაჟი ბერდიბეგს 50 ათასიანი ჯარით გამგებლად დანიშნა და თვითონ უკან დაბრუნდა. ჯანიბეგი მალევე გარდაიცვალა, ბერდიბეგმა კი რეგიონი დატოვა და ოქროს ურდოს მიერ დაპყრობილი ტერიტორიები მმართველის გარეშე დარჩა და კვლავ დაიკარგა.

აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ, ჯანიბეგ ხანმა, როგორც ეშრეფისგან მხსნელმა, მოსახლეობის კეთილგანწყობა დაიმსახურა. თავრიზში, ბაღდადსა და მაზანდარანის ქალაქ ამულში ჯანიბეგის სახელზე მონეტები მოიჭრა. დღეისათვის დამკვიდრებული მოსაზრებით, მელიქ ეშრეფსა და ჯანიბეგს შორის ბრძოლა 1356 წლის ბოლოს გაიმართა, 1357 წელს კი აზერბაიჯანსა და საქართველოს ერთ ნაწილში, მცირე ხნით ოქროს ურდო იყო გაბატონებული. ჩობანოღულების (მელიქ ეშრეფის დინასტიის) მცირეხნიან ბატონობას ჯანიბეგმა წერტილი დაუსვა, რის შედეგადაც საქართველოს ტერიტორიების ნაწილის ოქროს ურდოს მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა. ამას მოწმობს 1357 წლით დათარიღებული ჯანიბეგისა და ბერდიბეგის სახელზე მოჭრილი მონეტებიც. 1356–1357 წლებში მოჭრილი მონეტებითაც მტკიცდება, რომ დასავლეთ ირანისა და ერაყის ტერიტორიებზე მყოფმა ჯელაირთა ცნობილმა მონღოლურმა დინასტიამ არსებული „სიციარიელით“ ისარგებლა და ოქროს ურდოს მიერ მიტოვებული რეგიონი დაპყრო, რის შემდეგაც, მცირე ხნით აღმოსავლეთ საქართველოსა და თბილისში ბატონობდა. 1357 წლის შემდეგ მონეტები აღარ მოჭრილა, რაც აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლთა მმართველობის დასრულებაზე მეტყველებს. 1358 წელს ქართველებმა თბილისი დაიბრუნეს.

ოქროს ურდოს ხანები აზერბაიჯანის დამორჩილებას თითქმის ასი წლის განმავლობაში ცდილობდნენ, მაგრამ ჯანიბეგის მმართველობამდე ვერ შეძლეს. ჯანიბეგის შემდეგ ოქროს ურდოს მმართველი ბერდიბეგ ხანი გახდა, რომლის სახელზე მოჭრილი მონეტა თავრიზში ვერ აღმოაჩინეს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათ აქ დიდი ხნით არ უბატონიათ. ჯანიბეგის დროს ოქროს ურდომ წლების განმავლობაში მიზნად დასახული ტერიტორიები დაიპყრო. რასაკვირველია, ამან მატერიალური რესურსები გაზარდა, თუმცა მოლოდინი, რომ ოქროს ურდო თავისი ძლიერების ხანას მიაღწევდა ფუჭი აღმოჩნდა, რადგან ოქროს ურდოს წინსვლა შეჩერდა და ნგრევა დაიწყო. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ საუკუნუნახევარზე მეტხანს მაღალ საფეხურზე მდგომ ოქროს ურდოში ოჯახური უთანხმოებები დაიწყო და შინა არეულობამ ქვეყანა დაასუსტა.

### **III.8. ბერდიბეგ ხანის მმართველობა (1357-1360 წწ.)**

ჯანიბეგის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი ვაჟი ბერდიბეგ ხანი ავიდა. დუმანის ამირა ქანგლი თულუბაის წაქეზებით ბერდიბეგმა ტახტზე ასვლის შემდეგ თორმეტი ძმა და მათი შვილები ამოხოცა, რის გამოც მას „ფესვის გამხმობი“ შეარქვეს. ბერდიბეგის პერიოდში სახელმწიფო მმართველობაში ქანგლი თულუბაის გავლენა და სატახტო ცვლილებით გამოწვეული მოვლენები მალე ოქროს ურდოს მთელ ტერიტორიას მოედო, რამაც ამირებს შორის უთანხმოება გამოიწვია და ქვეყანაში შიდა არაეულობა დაიწყო. ბერდიბეგის პოლიტიკამ ქვეყანაში უკმაყოფილება გამოიწვია და მისსავე სიცოცხლეში ტახტზე შვიდი კონკურენტი გამოუჩნდა. ბერდიბეგმა საგვარეულოში ყველა მამაკაცი ამოხოცა, რითაც ბათო ხანის გვარიდან ოქროს ურდოს, იგივე აქ ორდას დინასტიას წერტილი დაუსვა. მის დროს დაწყებული შიდა არეულობების გამო, 1380 წლამდე, ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა.

### **III.9. 1361-1380 წლების მოვლენები**

ბერდიბეგ ხანის სახელზე მოჭრილი პირველი ფული 1357 წლით თარიღდება, ბოლო კი სარაისა და გულისტანში მოიჭრა და 1360 წლითაა დათარიღებული. 1361 წლიდან მოჭრილ მონეტებზე არ ირკვევა თუ დინასტიის რომელი შტოს წარმომადგენელს ეკუთვნის ის, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ოქროს ურდოში დაწყებულ არეულობას. ბერდიბეგ ხანის გარდაცვალების შემდეგ სხვადასხვა ამირებს თავიანთი კანდიდატები აჰყავდათ ტახტზე და საკუთარ პოლიტიკას ატარებდნენ. ამის გამო, 1360-1380 წლებში ოქროს ურდოს ტახტზე 25 ხანი ავიდა. ცხრილი, რომელშიც ასახულია ოქროს ურდოს ხანების სია და მათ სახელზე მოჭრილი მონეტები თარიღისა და ადგილის მითითებით, სადისერტაციო ნაშრომს ახლავს დანართის სახით.

ბერდიბეგ ხანის მმართველობის დროს ქვეყანაში დაწყებულმა არეულობამ და შემდგომში სატახტო დაპირისპირებებმა ქვეყნის დაქსაქსვა გამოიწვია. მოსახლეობა ეკონომიკურ და სოციალურ სიძნელეებს ვეღარ უმკლავდებოდა და ისეთ თავშესაფარს ეძებდა, სადაც უფრო წესრიგი იყო. ამის გამო დიდი გადასახლებები დაიწყო. ხალხმა ძლიერი მმართველების გარშემო დაიწყო შეკრება. არეულობის ხანა თოხთამიმ ხანის დროს დამთავრდა.

### **III.10. თოხთამიმის მმართველობა და ურთიერთობა კავკასიასთან (1379-1397 წწ.)**

თოხთამიმ ხანი, 1378/1379 წელს ურუს ხანის გარდაცვალების შემდეგ თემურ ლენგის დახმარებით დემთ-ი ყივჩაღის მმართველი გახდა და 1380 წელს ქალაქ სილნაკში ტახტი დაიკავა. ტახტზე ასვლიდან ერთ წელიწადში მდინარე ვოლგის წელამდე მიაღწია და დედაქალაქ სარაიმდე მოვიდა. თანდათანობით დასავლეთ ყივჩაღებზე, ყირიმსა და ჩრდილოეთ კავკასიაში გაბატონება მოახერხა. ამგვარად ბათო ხანის შთამომავლობის გაგრძელებას შეუწყო ხელი და ჯუჩის ულუსის კვლავ გაერთიანება მოახერხა. თოხთამიმმა ოქროს ურდოში მეტოქეები ჩამოიშორა და ერთპიროვნული მმართველი გახდა. მან მოახერხა ტერიტორიების გაფართოება და ჯარის რიცხვი გაზარდა. 1380 წელს, ამ წარმატების შემდეგ, თოხთამიმ ხანი სარაის, სარაიაჯიქის, ჰაჯი თარჰანის (ასტრახანი) და ყირიმის მმართველი გახდა. ხვარაზმისა და აზერბაიჯანის გარდა, ოქროს ურდოსადმი დაქვემდებარებული ყველა ძველი ტერიტორია იგდო ხელთ. ოქროს ურდოს ისტორიაში თოხთამიმ ხანის მმართველობა კვლავ აღზევების ხანაა.

თოხთამიმ ხანმა, მოწინააღმდეგეების დამარცხებისა და რუსულ სამთავროებზე თავისი მმართველობის გამყარების შემდეგ, აზერბაიჯანის დაპყრობა დაიხატა მიზნად.

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამხრეთ კავკასიაში ვითარება შეიცვალა. ილხანების შემდეგ ჩობანოღულების (მელიქ ეშრეფი), მოგვიანებით კი ჯელაირების ბატონობის ქვეშ მყოფ აზერბაიჯანს თემურ ლენგმა დაადგა თვალი. 1384 წელს კი მან მთელი ყურადღება მასზე გადაიტანა და აზერბაიჯანის მმართველი აჰმედ ბაღდათი იძულებული გახდა უკან დაეხია. თუმცა, თემურლენგი აქ დიდ ხანს არ გაჩერებულა და უკან დაბრუნდა.

თემურ ლენგის ირანში გადატანილი ყურადღებით ისარგებლა თოხთამიმ ხანმა და 1381, 1384 და 1386 წლებში ხვარაზმში მის სახელზე ფული მოჭრა. თემური ირანის საქმეებით იყო დაკავებული და თოხთამიმ ხანისთვის არ ეცალა, რამაც კიდევ უფრო გაათამამ ოქროს ურდოს მმართველი და მთლიანად აზერბაიჯანის საკითხზე გადაერთო. თოხთამიმ ხანმა დაახლოებით ცხრა დუმანი ჯარისკაცი შეკრიბა და ზამთარში თავრიზს ალყა შემოარტყა. თავრიზის მოსახლეობამ ქალაქის დაცვა ერთი კვირის განმავლობაში მოახერხა, შემდეგ კი დანებდა. თოხთამიში თავრიზში შევიდა და ქალაქი გამარცხა. თემურ ლენგმა, თოხთამიშისთვის გზების ჩაკეტვის მიზნით, კავკასიის გადასასვლელების ხელში ჩაგდება გადაწყვიტა და საქართველოს დასალაშქრად გაემართა. ამ ლაშქრობისას მან ყარსი და თბილისი აიღო.

1386 წელს იმერეთში დაწყებულმა აჯანყებებმა აჩვენა, რომ მონარქიის ძალა ბაგრატ V-ის დროს ისეთი ძლიერი აღარ იყო, როგორც გიორგი V-ის მმართველობაში. თემურ ლენგს დასავლეთ აზიაში მონღოლთა ძლიერება რომ არ აღედგინა და 1366 წლის შემდეგ შავი ჭირი რომ არ გავრცელებულიყო, საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური უძლურობის ხანიდან თავის დაღწევა შესაძლებელი იქნებოდა. მაგრამ თემურმა საქართველო ისე დაიპყრო, რომ ფეხზე წამოდგომაც კი არ ადროვა. 1386 წლის ზაფხულში თემურ ლენგი საქართველოს საკითხებით იყო დაკავებული და თოხთამიშის წინააღმდეგ ჩდილო კავკასიაში თავისი მმართველობის გაძლიერებას ისახავდა მიზნად.

თემურისა და თოხთამიშის ურთიერთობის გამო სამხრეთ კავკასიამ და მისმა მოსახლეობამ დიდი ზიანი განიცადა. ეს მდგომარეობა 1395 წლამდე გრძელდებოდა. 1395 წლის 14 აპრილს მდინარე თერგზე ბრძოლა გაიმართა, სადაც თემურ ლენგმა თოხთამიში სასტიკად დაამარცხა. მისი ჯარია მთლიანად მოიშალა და მხოლოდ მცირე რაზმთან ერთად შეძლო თავის დაღწევა.

1391 და 1394 წლებში თემურ ლენგმა თოხთამიშის წინააღმდეგ ორი ლაშქრობა მოაწყო ყივჩაღთა ველზე. ჯუჩის შთამომავლებიდან უფლისწულების მხარდაჭერით ტახტისთვის ბრძოლის გაღვივებასა და თოხთამიშის მმართველობის შესუსტებას უმზადებდა ნიადაგს. თემურ ლენგის ამ ნაბიჯმა რუსული სამთავროების გაძლიერებასა და დამოუკიდებლობას შეუწყო ხელი.

ჯანიბეგის შემდეგ ხანის გარეშე დარჩენილი ოქროს ურდო თოხთამიშმა კვლავ გააერთიანა, თუმცა თემურთან მარცხით მისი დაშლის პროცესი დაიწყო. რასაკვირველია, ეს არ ყოფილა სახელმწიფოს დაშლის ერთადერთი მიზეზი. ასე თუ ისე, ოქროს ურდომ 1502 წლამდე გააგრძელ პოლიტიკურ ასპარეზზე არსებობა.

#### **თავი IV: კულტურული და ეკონომიკური ცხოვრება ოქროს ურდოში**

ნაშრომის ბოლო თავში განხილულია ოქროს ურდოს სამხედრო-პოლიტიკური სისტემა, რელიგიური, კულტურული და საგანმანათლებლო ცხოვრება. მართალია, ოქროს

ურდომ ვერ მოახერხა მთლიან საქართველოზე გაბატონება, თუმცა გარკვეული გავლენები მაინც ჰქონდა მასზე. მონღოლთა ბატონობა საქართველოზე საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა. მონღოლები აქ საკუთარ მმართველებს ნიშნავდნენ, რომელთა სია და მმართველობის წლები ნაშრომში საგანგებოდ გვაქვს გადმოცემული. სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილის მიზანია ოქროს ურდოს საფუძვლიანი, სიღრმისეული წარმოჩენა. იგი 5 პარაგრაფისა და ქვეთავებისგან შედგება.

1206 წელს ჩინგიზ ხანმა მონღოლთა იმპერია ოფიციალურად დააარსა. გრიგოლ აკანელი მონღოლებს „მოისარ ხალხს“ უწოდებს, რაც ნიშნავს, რომ იგი სამხედრო სახელმწიფო იყო. სწორედ ამიტომ ოქროს ურდოს სახელმწიფო, პროვინციული და სამხედრო გაერთიანება ერთ მთლიანობას ქმნიდა.

#### **IV.I. სახელმწიფოებრივი და რეგიონალური გაერთიანება**

1241 წელს ბათო ხანმა ოფიციალურად დააარსა ოქროს ურდოს სახელმწიფო, რომელიც მენგუ თემურის მმართველობამდე ცენტრალურ საყაენოს ექვემდებარებოდა. გამომდინარე აქედან, მისი მართვა ჩინგიზის კანონებისა და დიდ მონღოლთა საყაენოს წესებით ხორციელდებოდა. მონღოლთა არისტოკრატია ოქროს ურდოს საზოგადოების ზედა ფენას წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ოქროს ურდო დიდწილად ცენტრალური საყაენოს პრინციპებით ხელმძღვანელობდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კანონები დაპყრობილი ტერიტორიების გეოგრაფიული მდებარეობის, ეთნიკური და რელიგიური მდგომარეობის მიხედვით განსხვავებულად აისახებოდა. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ოქროს ურდო სახელმწიფოს ორმაგი მმართველობის სისტემით წარმოდგენილი პოლიტიკური გაერთიანება იყო. ჯუჩის ულუსის მიერ სახელმწიფოს დაარსებისას, ყივჩაღთა ველის გეოგრაფიული არეალი ორ, მარცხენა (აღმოსავლეთ) და მარჯვენა (დასავლეთ) ნაწილად იყო წარმოდგენილი, რომელსაც თავისი მმართველი ჰყავდა. თუმცა ისინი დამოუკიდებელი სახანოები არ ყოფილან, მხოლოდ ორმაგი მმართველობის ქვეშ მოქცეული ერთი პოლიტიკური გაერთიანება იყო. დასავლეთი ნაწილი „აქ ორდა“ („თეთრი ურდო“), იგივე ოქროს ურდო იყო, ხოლო აღმოსავლეთი - „გოქ ორდა“ („ცისფერი ურდო“). ამ უკანასკნელის მმართველებს აქ ორდას ხანები ნიშნავდნენ.

წყაროები ცხადყოფენ, რომ ოქროს ურდოს მრავალეთნიკური სახელმწიფო იყო და ისინი მმართველობაშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი, რაც ქვეყანას შესაძლებლობას აძლევდა მოქნილი პოლიტიკა გაეტარებინა.

ოქროს ურდოს მმართველები მხოლოდ და მხოლოდ „ხანის“ ტიტულს იყენებდნენ. მონღოლთა სახელმწიფოში ახალი ხანის ტახტზე ასვლა გარკვეულ დროს მოითხოვდა. მაგალითად, ჩინგიზ ხანის შემდეგ ტახტზე ასული ოგედეის გარდაცვალების შემდეგ, ახალი ხანის არჩევა წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ახალი ხანის არჩევა ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ ხდებოდა. იგი მონღოლთა ყველა საგვარეულოს უნდა ეცნო და დიდ ყურულთაიზე წარედგინა. ოქროს ურდოს სახელმწიფოში ტახტის კანდიდატი აუცილებლად ხანის საგვარეულოდან უნდა ყოფილიყო. ამის მაგალითია თუდა მენგუ, რომელიც ჰკუასუსტობის მიუხედავად მაინც აირჩიეს ხანად და გარკვეული პერიოდი მართავდა ქვეყანას, რაშიც სახელმწიფო მოხელეები ეხმარებოდნენ. ეს ფაქტი ამტკიცებს ოქროს ურდოს ტახტზე შთამომავლობის მნიშვნელობას.

„ყურულთაი“ იყო ყრილობა, რომელიც ყოველწლიურად ტარდებოდა. მასზე წყდებოდა მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხები. ყურულთაი იყო სახანოს უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო, რომელიც კანონების მიხედვით იღებდა გადაწყვეტილებებს. გამომდინარე აქედან, საკანონმდებლო და სასამართლო საქმიანობას „კანონთა განმკარგავი“ ორგანო წარმართავდა.

ოქროს ურდოში „პროვინციული მმართველობის“ შესახებ მწირი ცნობები მოგვეპოვება. პროვინციების საზღვრებს უმეტესწილად ბუნებრივ პირობები განსაზღვრავდა. ეს საზღვრები გახლდათ მთა, უდაბნო და ა.შ., რის გამოც ფაქტიურად, კონკრეტული საზღვრის დადგენა შეუძლებელი იყო. ამასთან, ცნობილია, რომ მონღოლები მომთაბარეები იყვნენ და კასპიის ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ვრცელ ტერიტორიას ყიშლალეზად იყენებდნენ. სამხრეთ კავკასიაში - მულანის ველზე მათი პირველი დაპყრობითი ლაშქრობაც ამ მიზეზით განხორციელდა.

მას შემდეგ რაც საქართველო მონღოლთა ბატონობის ქვეშ მოექცა, მონღოლებმა ქვეყნის პოლიტიკური რეორგანიზება მოახდინეს. ქართველები ლაშქრობებში მიჰყავდათ. ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორია ადმინისტრაციულ ერთეულებად დაჰყვეს. ასეთ პირობებში ქართველი ფეოდალები სხვადასხვა მონღოლი ამირების ქვეშევრდომობაში შედიოდნენ.

თუ რომელიმე ქვეყნის მმართველი ნებაყოფლობით შევიდოდა მონღოლთა ქვეშევრდომობაში, ისინი მას წერილობითი შეთანხმებით მმართველობას უტოვებდნენ, ხოლო თუ ვინმე წინააღმდეგობას გაუწევდა და დამარცხდებოდა, ბოლომდე ანადგურებდნენ. მაგრამ ქართველი მეფეები გამონაკლისია. საქართველოს მმართველი ძალა და მოსახლეობა ხანგრძლივი ბრძოლითა და აჯანყებებით ცდილობდა დამპყრობლისაგან სამშობლოს დაცვას, რის გამოც მონღოლებმა აქ სრულად ფეხის მოკიდება ვერ შეძლეს.

კვლევის პროცესში დავადგინეთ მონღოლთა მიერ საქართველოში დანიშნულ მმართველთა ჩამონათვალი. როგორც აღვნიშნეთ, მონღოლთა მმართველობა სამხედრო სისტემას ეყრდნობოდა და გამომდინარე აქედან, ეს მმართველები ამავედროულად ჯარსაც ედგნენ სატავეში. ქვემოთ მოცემულ პირთაგან ზოგი სამხედრო და საგადასახადო საქმიანობას ითავსებდა, ზოგიერთი მხოლოდ გადასახადებს კრეფდა ან ბრძოლებში ქართულ ჯარს მეთაურობდა. მაგალითად, საქართველოს პირველი დამპყრობელი მონღოლი მეთაური ჩარმაღანის ვაჟი შირამუნ ნოინი იყო, რომესაც გადასახადების აკრეფასთან კავშირი ჰქონდა თუ არა არ ვიცით. თუმცა, შირამუნ ნოინი 1262 წელს, ჰულაგუსა და ბერქეს დაპირისპირებაში თეგუდარის აჯანყების დროს, ქართულ ჯარს მეთაურობდა. ჩამონათვალის მიხედვით, 1258 წლამდე საქართველოში მონღოლ მმართველებს ცენტრალური საყაენო ნიშნავდა, მოგვიანებით ილხანთა სახელმწიფო. საქართველო ილხანებამდე ოქროს ურდოს ტერიტორიებში არ შედიოდა და დიდი ყაენის მიერ გაგზავნილი წარმომადგენლის მეთვალყურეობის ქვეშ ქართველი მეფეების მიერ იმართებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ მოცემული სიის მიხედვით ჩარმაღან ნოინი ოქროს ურდოს მმართველ ბათო ხანს ემორჩილებოდა, ბათოს დროს ოქროს ურდოს ურთიერთობები ცენტრალურ საყაენოსთან ძველი ფორმით აღარ გრძელდებოდა. ეს ნათლად ჩანს საქართველოში გამოგზავნილი მმართველების პოლიტიკურ და სამხედრო ურთიერთობებში, რომელიც მეგობრული ნამდვილად არ იყო.

ჩარმადან ნოინი, 1232 წელს დანიშნა უგიედეი ყაენმა.

აილთანა ხათუნი, ჩარმადანის ცოლი. ქმრის გარდაცვალების შემდეგ მცირე ხნით რეგენტი იყო.

ბაიჯუ ნოინი, 1239 წლის შემდეგ დანიშნა უგიედეი ყაენმა.

ამირა არლუნი, 1243- 1275 წლებში დანიშნა სამჯერ. პირველად დანიშნა თორეგენე ხათუნმა, მეორედ მენგუ ყაენმა, ხოლო მესამედ ჰულაგუ ყაენმა. იგი აქტიურად არ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. დრო და დრო მართავდა სამხრეთ კავკასიას. საქართველოსა და სომხეთში კრეფდა გადასახადებს. რამდენჯერმე ილაშქრა საქართველოს წინააღმდეგ.

ხოჯა აზიზი, 1262 წელს დანიშნა ჰულაგუ ყაენმა.

შირამუნ ნოინი, დანიშნა აბაკა ხანმა 1265 წელს.

აჯაი, დანიშნა არლუნ ხანმა 1284 წელს.

ყუთლულ ბუკა (ამირა ბუკა), 1289-1293 წლებში, დანიშნა არლუნ ხანმა.

ამირა ყუთლუქმაჰი, 1301-1302 წწ., დანიშნა გაზან ხანმა.

ყურმიში, იყო 1318 წლამდე, დანიშნა ოლჯაითუ ხანმა.

შეიხ მაჰმუდი, აბუ საიდის მმართველობის ხანაში, 1319 წლის შემდეგ დანიშნა ამირა ჩობანის მიერ.

იქბალმაჰი, ამირა ჩობანის ვაჟი, დანიშნა შეიხ მაჰმუდი შემდეგ.

#### **IV.2. სამხედრო ორგანიზაცია**

იმპერიის დაარსების დროს ჩინგიზ ხანმა მისი მისი პოლიტიკური და სამხედრო სისტემა განსაზღვრა. მონღოლთა ჯარი ძველი ტომობრივი სისტემიდან „ათობით“ სისტემაზე გადავიდა, რომლის მიხედვითაც იგი შედგებოდა ათი, ასი, ათასი და ათი ათასიანი სამხედრო შენაერთებისგან. ათი ათას კაცის შენაერთის მეთაურს „თუმენ ბეი“ ეწოდებოდა. მსგავსი სისტემა შეიქმნა ოქროს ურდოშიც. ყველა შენაერთის მეთაური თავის რეგიონში წესრიგსა და დისციპლინაზე აგებდა პასუხს. თუმენის (იგივე დუმანის) მეთაურებს დროთა განმავლობაში ხანის თანამდებობა შეეძლოთ მიეღოთ.

ულუსის მეთაურებს, ათასისთავებს და სარდლებს „ნოინი“ ან „ბაკადირი“ ეწოდებოდათ. თუმცა, „ნოინის“ ტიტული უფრო ხშირად გამოიყენებოდა. ეს „ნოინები“ ულუსების მმართველებიც ხდებოდნენ. საქართველოში დანიშნული ჩარმადან ნოინი ამის ნათელი მაგალითია. ბუნებრივია, რომ ჩინგიზის გვარის შთამომავლებს დაბადებიდან ჰქონდათ ამ თანამდებობების დაკავების უფლება, სხვებს კი ეს ტიტულები და პოზიციები დამსახურებით უნდა მოეპოვებინათ.

მონღოლების მმართველობის ქვეშ მყოფი საქართველოს სამეფო 1258 წლიდან ილხანების სახელმწიფოს ყველა ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას. სპულერი, მონღოლების ლაშქარში თურქებისა და ჩინელების მონაწილეობაზეც საუბრობს, მაგრამ, მისი თქმით ქართველებს ბრძოლით გაუთქვამთ სახელი.

#### **IV.3. ვაჭრობა და ეკონომიკური ცხოვრება**

ოქროს ურდოს მმართველობა ვრცელ გეოგრაფიულ არეალზე ვრცელდებოდა, რამაც ეკონომიკური ცხოვრების მრავალფეროვნება გამოიწვია. ქვეყანაში მომთაბარე ცხოვრების გამო მესაქონლეობა წამყვან დარგს წარმოადგენდა. ტერიტორიების გაზრდისა

და შავიზღვისპირეთის საპორტო ქალაქების დაპყრობის შემდეგ, მნიშვნელოვანი საარსებო წყარო გახდა ვაჭრობა. ოქროს ურდოს ბრძოლების უმრავლესობა სავაჭრო გზების ხელში ჩაგდებისთვის ან სავაჭრო ქალაქების დაცვის მიზნით მიმდინარეობდა.

ჩინგიზ ხანის სიტყვებია: „ცხენზე ამხედრებული ბევრი ქვეყნის დაპყრობაა შესაძლებელი, მაგრამ ცხენზე ამხედრებული მათი შენარჩუნება შეუძლებელია“. ცხადი იყო, რომ ბათო ხანი და სხვა მონღოლი ხანები, მიუხედავად მუდმივი ბრძოლისა და გამარჯვებებისა, დაპყრობილ ტერიტორიებს ბოლომდე ინარჩუნებდნენ. დაპყრობილ ტერიტორიებში შედიოდა ხვარაზმი, ბულგარები, ყირიმი, რუსული სამთავროები, უნგრეთი და ბულგარეთი, რომელთა მოსახლეობაც მოზინადრე ცხოვრების წესით ცხოვრობდა. აღნიშნული ტერიტორიების მონღოლთა დაქვემდებარებაში შესვლამ არსებული მდგომარეობა უფრო გაართულა. ასეთივე მდგომარეობა იყო სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი საქართველოში. ოქროს ურდო გადაიქცა ქვეყანად, სადაც ბინადრული და მომთაბარე ცხოვრება ერთდროულად მიმდინარეობდა, რამაც გარკვეული სირთულეები წარმოშვა. ქვეყანა ფაქტიურად ორ ნაწილად გაიყო. ეს იყო, ცენტრალური მონღოლეთი, რომლის დაქვემდებარებაშიც შედიოდა მდინარე ირტიშიდან დუნაიმდე გადაჭიმული ტერიტორია და ამ ტერიტორიების საზღვარზე მდებარე დაპყრობილი და დამორჩილებული ხვარაზმი, ვოლგის ბულგარები და რუსული სამთავროები. ამ ქვეყნებს, ოქროს ურდოს მიმართ საგადასახადო ვალდებულება ჰქონდათ და იძულებულნი იყვნენ საუკეთესო ხელოსნები და ხელოვნები ოქროს ურდოსთვის გადაეცათ. ოქროს ურდოს ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება, კეთილდღეობა და სტაბილურობა ამ ტერიტორიებზე იყო დამოკიდებული. სწორედ ამიტომ, მონღოლმა ხანებმა ეს ტერიტორიები სრულად არ გაანადგურეს. პირიქით, მხარდაჭერასაც კი უცხადებდნენ მათ, რითაც ადამიანური რესურსების თავის სასარგებლოდ გამოყენებას ახერხებდნენ. ოქროს ურდოს პოლიტიკური გაერთიანება ამ პერიოდის ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, ვაჭრობის გარდა ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებას დაპყრობილი რეგიონებიდან აკრეფილი გადასახადებიც განაპირობებდა. ოქროს ურდოს ხანაში ყირიმის რეგიონში მდებარე, ქერჩის, ჯაფას, სუდაკისა და აზაკის ნავსადგურებში გენუელებსა და ვენეციელებს სავაჭრო საწყობები ჰქონდათ. ამ ქალაქებს შორის მოძრავ ქარავნებს და შესულ გემებს გადასახადი უნდა გადაეხადათ. ეს გადასახადები სახანოს ძირთადი შემოსავლის წყაროებიდან ერთ-ერთი იყო.

ოქროს ურდოს სამხედრო გაერთიანებამ მოსახლეობის აღწერა პირველად ბათო ხანის მმართველობის პერიოდში ჩაატარა. ბერქე ხანმა კი რუსული სამთავროები მეორედ 1257 წელს აღწერა. ზოგიერთი წყაროს მიხედვით ეს რუსული სამთავროების პირველი აღწერა იყო. გადასახადების გამო 1257-1262 წლებში ბერქე ხანის წინააღმდეგ აჯანყდნენ, მაგრამ ისინი წარუმატებლად დასრულდა. აღწერა საინტერესოა მოსახლეობის რაოდენობის დადგენის თვალსაზრისითაც. 1257 წელს, ამ აღწერის დროს, სასულიერო პირები განთავისუფლებული იყვნენ საგადასახადო ვალდებულებისგან.

მონღოლებმა ძლიერი მმართველობის სისტემა შექმნეს. ისეთი საგადასახადო სისტემა შემოიღეს, რომლის შესახებაც სამხრეთ კავკასიაში - სომხეთსა და საქართველოში მანამდე არც კი იცოდნენ. კირაკოსის გადმოცემით, გოიუქ ხანის მმართველობის პერიოდში სახელგანთქმული ამირა არღუნი, რომელიც ნამდვილი ტირანი იყო, ვინმე ბოლასთან ერთად ირანში, სომხეთსა და საქართველოში ჯიზიას გადასახადს კრეფდა.

გრიგოლ აკანელის მიხედვით კი, 1251 წელს მენგუ ყაენის ბრძანებით ამირა არლუნი, სამხრეთ კავკასიის რეგიონში გადასახადების აკრეფისთვის, მოსახლეობის აღწერის მიზნით მოვიდა. მონღოლები სასტიკად სჯიდნენ მათ, ვინც გადასახადებს თავს აარიდებდა.

„ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს ამირა არლუნისა და ბათო ხანის ურთიერთობების შესახებ და გადმოგვცემს, რომ ყაენთა შორის ყველაზე დიდმა ბათო ხანმა მის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა ქვეყანაში მოსახლეობის აღწერა ბრძანა. ეს საქმე კი ამირა არლუნს ჩააბარა. არლუნი განათლებული, ჭკვიანი, კარგი მჭერმეტყველი და კანონების მცოდნე ადამიანი იყო. ბათო ხანმა, მას ქვეყნის სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის შესწავლა დაავალა და ამ მიზნით სხვადასხვა მხარეს აგზავნიდა. არლუნის მიერ აღწერის დასრულების შემდეგ, ბათო ხანმა ამჯერად ის ყარაყორუმში ყუბილას ხანთან გაგზავნა. ყუბილას ხანმა ბათოს რეკომენდაცია მიიღო და მას ახალი თანამდებობა უბოძა.

ჯუვეინი გადმოგვცემს, რომ 1258 წელს ორ დავითთან დაკავშირებული პრობლემის შესახებ ჰულაგუსთვის ამბის მისატანად ამირა არლუნი ხორასნის გავლით საქართველოსკენ გამოემართა და მოსახლეობის აღწერასთან ერთად გადასახადებთან დაკავშირებით ახალი გადაწყვეტილებები მიიღო. სავარაუდოდ ეს მეორე ექსპედიცია გადასახადების აკრეფას უკავშირდებოდა. მანამდე ათ კაცზე დაკისრებული 70 დინარის ოდენობის „ქოფჩური“ გადასახადი ჯარის და სხვა სახელმწიფო ხარჯებს არ ყოფნიდა, რის გამოც დამატებითი გადასახადები შემოიღო და დანარჩენ ყველაფერს კი ნაწილ-ნაწილ კრეფდა. ჯუვეინის აზრით, ხორასანში ამირა არლუნი მიხვდა, რომ საგადასახადო სისტემა მდიდრების სასარგებლოდ და ღარიბების საწინააღმდეგოდ იყო მოწყობილი. ამირამ ეს შეამჩნია და ხალი გადაწყვეტილებები მიიღო, რის შემდეგაც საქართველოსკენ აიღო გეზი. კირაგოსი საუბრობს სულადობრივ გადასახადზე, რომელსაც „თადარი“ ერქვა. გრიგოლი წერს, რომ 1258 წლიდან, ხანად დანიშვნის შემდეგ, ჰულაგუ ცოლის მრწამსის გამო პატივს სცემდა ქრისტიანებს და მათგან შედარებით მცირე გადასახადს იღებდა. მაგალითად, სომხების წლიურ გადასახადს სულ რაღაც ასი ათასი თავი ღორი წარმოადგენდა. მისივე გადმოცემით, მან ქალაქებში ორიასი ათასი ღორი გაგზავნა და მუსლიმ მწყემსებს ჩააბარა. მათ ყოველ კვირა ღორების საპნით დაბანას და დილა-სალამოს ბალახის გარდა ნუშით და ხურმით გამოკვებას აიძულებდა. „ქართლის ცხოვრება“, სხვა წყაროების მსგავსად გადმოგვცემს, რომ ჰულაგუ ხანის დროს ამირა არლუნი საქართველოში კვლავ მოვიდა. როდესაც არლუნი ჰულაგუს წინაშე წარადგა, ხანმა მისი ნახვით ძალიან გაიხარა და საქართველოში დავით ულუსთან გამოაგზავნა. არლუნმა აქ მოსახლეობა აღწერა და ქვეყნის საქმეები მოაწესრიგა. არლუნის მოსვლამდე, საქართველოს მოსახლეობა ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო. მონღოლებმა კვლავ აღწერეს მოსახლეობა, საქონელი, მიწები, სამოვრები და ვენახები. მიწის მესაკუთრეებს ჯარის შენახვა დაევაალათ. ყველა სოფელს ასეულის მეთაურისთვის ყოველდღიურად ერთი ბატკანი და ერთი დრაჰკანი, ათი ათასეულის მეთაურისთვის ერთი ცხვარი და ორი დრაჰკანი, ხოლო ყოველ მხედარზე სამი თეთრი უნდა გადაეხადა.

ყაენის მმართველობა სადაც ვრცელდებოდა, არლუნმა მოსახლეობის აღწერა ჩაატარა. აბაკა ხანის მმართველობის დროს იგი კვლავ დაბრუნდა საქართველოში. ამჯერად მას უნდა გაერკვია, თუ რამდენად დიდი ზიანი მიაყენეს მონღოლებმა რეგიონს,



ან რა გააკეთეს აქ. საბოლოოდ დადგინდა, რომ მონღოლების პირველი გამოჩენის ბერძენ ხანის მმართველობამდე კახეთ-ჰერეთი სრულიად განადგურდა. ამ მოსვლაზე ამირა არღუნი ერთ ხანს თბილისში დარჩა. ამ დროს დემეტრე II-ს მამის, დავით ულუს მიერ მასზე მიცემული პირობა შეახსენა, რომელსაც ნათქვამი ჰქონდა, რომ მის ქალიშვილს ანუ დემეტრეს დას, არღუნის ვაჟს მიათხოვებდა, მაგრამ სიკვდილის გამო ვერ შეასრულა სიტყვა. დემეტრეს არ სურდა მისი დის ურჯულოზე დაქორწინება, მაგრამ მამის სიტყვას ვერ გადავიდა და მისი და თამარი ამირა არღუნის შვილს მიათხოვა. ქორწილის შემდეგ ამირა არღუნმა მისი ვაჟი მეფესთან დატოვა, თავად კი ილხანთა დედაქალაქში დაბრუნდა.

ეპისკოპოს სტეფანოსის ქრონიკის მიხედვით, 1273 წელს ამირა არღუნი კვლავ საქართველოსა და სომხეთში დაბრუნდა და მოსახლეობის აღწერა ჩაატარა. აღწერა ჯარისა და გადასახადების რაოდენობას ადგენდა.

მენგუ თემურმა, მუსლიმ ვაჭრებს პრივილეგიები გაუუქმა და ერთიანი საგადასახადო სისტემა შექმნა. 1300 წლიდან გაზან ხანმა და ილხანთა სახელმწიფოს მმართველებმა ისლამი მიიღეს. მათი ბატონობის ქვეშ არსებულ ქრისტიანულ ქვეყნებში კი, მათ შორის საქართველოსა და სომხეთში გადასახადები გაზარდეს.

#### IV.4. რელიგია

მონღოლ მმართველებს შორის იყვნენ სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები. მოსახლეობის აღმსარებლობასთან დაკავშირებით კი დაწვრილებითი ცნობები არ გვაქვს. გამომდინარე იქედან, რომ უზბეკ ხანის დროს ოქროს ურდოში ისლამი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, 1320 წლიდან, სავარაუდოდ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ისლამი მიიღო. მონღოლები ამ მხრივ ტოლერანტობით გამოირჩეოდნენ. როგორც ჩანს, ეს გამომდინარეობდა იქიდან, რომ ყანთა ცოლები და შვილები სხვადასხვა მრწამსს აღიარებდნენ.

ოქროს ურდოში რელიგიის ფაქტორი მკვეთრად აისახებოდა პოლიტიკაში, კულტურასა თუ სხვა სფეროებში. დაპყრობილ ტერიტორიებზე მოსახლეობა მათ წინააღმდეგ რელიგიური ნიშნით რომ არ გაერთიანებულიყო, მონღოლები მათ მრწამსს მხარდაჭერას უცხადებდნენ და პრივილეგიებსაც აძლევდნენ. მაგალითად, სართაქ ხანმა ქრისტიანობა, ბერძენ ხანმა კი ისლამი მიიღო. ოქროს ურდოს მმართველების რწმენაზე ხშირად გავლენას ახდენდა არსებული გარემოება. ქრისტიანები რუსული სამთავროები და ყირიმში მყოფი სავაჭრო კოლონიები იყვნენ, ან უნგრეთში გაქცეული დასავლეთის ქრისტიანი ყივჩაღები, რომლებსაც ბერძენ ხანი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მისთვის უფრო მნიშვნელოვანი ჰულაგუსა და ირანის წინააღმდეგ მუსლიმ მამლუქებთან კავშირი იყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1257 წელს მოსახლეობის აღწერისას სასულიერო პირები გადასახადებისა და სხვა პასუხისმგებლობებისგან გათავისუფლებულნი იყვნენ. რუსულ ეკლესიაში, მონღოლთა მმართველობის დროს ქონება და მრევლი გაიზარდა. რუს სასულიერო მეთაურებზე ოქროს ურდოს ხანების მიერ გაცემული „ბრძანებები“ ცხადად გვიჩვენებს რუსული ეკლესიის პრივილეგიებს. ამის გამო, რუსულ სასულიერო პირებს ოქროს ურდოს მმართველობის წინააღმდეგ დიდი ხნის განმავლობაში ხმა არ ამოუღიათ.

მენგუ თემურის მმართველობამდე, რუსული ეკლესია-მონასტრების წინამძღვრები, ბერები და მღვდლები გადასახადებისგან განთავისუფლებულნი იყვნენ. მის დროს კი, გადასახადები მოეხსნათ ამ სასულიერო პირების ოჯახებსაც. ეკლესია-მონასტრებისა და სასულიერო პირებისათვის გადასახადების მოხსნამ და მათზე მიწების გაცემამ რუსული ეკლესიის უფლებები უფრო გაზარდა. „ეკლესიის ხალხი“ (სასულიერო პირები და მათი ოჯახები) სამხედრო სავალდებულო სამსახურსგანაც განთავისუფლდნენ. თუკი რომელიმე მონღოლი ეკლესიის მიწას მიისაკუთრებდა ან სასულიერო პირს შეეხებოდა, სიკვდილით ისჯებოდა. უფრო მეტიც, თუ ვინმე მართლმადიდებლობას აუგად მოიხსენიებდა, მასაც კლავდნენ. რუს ბერ-მონაზვნებს მოეთხოვებოდათ მენგუ თემურის ოჯახისა და მომდევნო ხანებისთვის გულწრფელი ლოცვა. მენგუ თემურის მმართველობის დროს რუსული ეკლესიის მიმართ ტოლერანტულმა დამოკიდებულებამ ოფიციალური სახე მიიღო სპეციალური ბრძანებით. ბრძანებას უფრო მეტი გავლენა რომ ჰქონოდა, დასაწყისში ჩინგიზ ხანის სახელი იყო მოხსენიებული. ამ „იარლიდით“ რუსმა სასულიერო პირებმა და მათი გავლენის ქვეშ მყოფმა მოსახლეობამ სხვებთან შედარებით პრივილეგიები მიიღო. ეკლესიამ გამდიდრება დაიწყო. ამ პოლიტიკამ საფუძველი დაუდო რუსეთის ყველაზე განათლებული სოციალური ფენის ხანისადმი ერთგულებას. მენგუ თემურის რელიგიურ მრწამსზე წყაროებში სხვადასხვა აზრი არსებობს, თუმცა მთავარი ისაა, რომ ოქროს ურდოს სხვა მმართველების მსგავსად ისიც რელიგიური შემწყნარებლობით გამოირჩეოდა.

ბერქე ხანთან ერთად ოქროს ურდოში ისლამიზაციის პროცესი დაიწყო. XIV ს-ის 20-იანი წლებიდან კი ეს პროცესი დაჩქარდა და მიზანს მიაღწია. თუმცა, აღსანიშნავია რომ მმართველები ყველაზე მეტად პატივს ორთოდოქსალურ ეკლესიას სცემდნენ. ამ მმართველებს შორის იყვნენ უზბეკ, ჯანიბეგ და ბერდიბეგ ხანები.

#### **IV. 5. სოციალური ცხოვრება და დიდი ქალაქები**

ოქროს ურდოს მოსახლეობა მხოლოდ მომთაბარე ცხოვრებას რომ არ ეწეოდა, ამას მრავალი ქალაქისა და სოფლის არსებობაც ადასტურებს. მის საზღვრებში მოქცეული ვოლგის შუა წელზე მცხოვრებ თურქებს ადრეულ პერიოდშივე აქ საცხოვრისები დაუარსებიათ. ვოლგის ქვემო წელზე მცხოვრები მონღოლები და თურქები სწორედ ამ ქალაქებში იყვნენ დასახლებულნი.

ჯუჩის ულუსის აღმოსავლეთ რეგიონის საპირისპიროდ ბათოსა და ბერქეს მემკვიდრეების მმართველობის დროს ურბანული ცხოვრება უფრო და უფრო ვითარდებოდა. ამ დროს კარავი (რეზიდენცია) ჯერ ბულგარებთან, შემდეგ სარაიში, მოგვიანებით კი დაპყრობილ ტერიტორიებზე (სტეპებში) იშლებოდა. ეს ტრადიცია, XIV ს-ის ბოლოდან და XV ს-მდე გრძელდებოდა. თოხთამიშ ხანი და უზბეკ ხანი მომთაბარე მოსახლეობის მსგავსად ზაფხულს სტეპებში, ზამთარს კი ქალაქში ატარებდნენ.

როგორც წესი, ქვეყნის დედაქალაქში და მის მიმდებარედ სავაჭრო და სოციალური ცხოვრება ყოველთვის აქტიურობით გამოირჩევა. უნდა ითქვას, რომ ოქროს ურდოს სახელმწიფოშიც საქალაქო ცხოვრება განვითარებული იყო. ქალაქები შენდებოდა სტეპებზე. მათი ნაწილი ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა. ნოინთა ულუსებიც მათში შედიოდა. მეორე ნაწილი დაპყრობილი ტერიტორიებიდან ტყვედ წამოყვანილი ხელოსნებისა და ვაჭრების დასახლებები იყო. ქალაქების მიმართ

ოქროს ურდოში უფრო განსხვავებული მიდგომა ჰქონდათ, ვიდრე მანამდე მონღოლებს. მომთაბარე ხალხი, ანუ ისინი, ვინც ცხენზე ამხედრებული ცხოვრობდა, ქალაქებს ციხესიმაგრეების მსგავსად თავდაცვის ობიექტად მიიჩნევდნენ და ასეთი ქალაქების მშენებლობისგან თავს იკავებდნენ. დაპყრობილ ტერიტორიებზე ქალაქის კედლებს ანგრევდნენ, მოწინააღმდეგე ქალაქებს ანადგურებდნენ და ფეხზე წამოდგომის საშუალებას არ აძლევდნენ. ვოლგის ბულგართა სახელმწიფოს ქალაქები ამის შესანიშნავი მაგალითია. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების ქალაქის არქიტექტურა ზოგადად, ციხესიმაგრის შიგნით დასახლებას წარმოადგენდა. ოქროს ურდოს მსგავსი არქიტექტურული მოწყობა არ გაუგრძელებია, რადგან მონღოლთა აზრით ქალაქებს ციხეები კი არა, სახელმწიფო იცავდა. ბათო ბერქეს მმართველობის დროს დაარსებულ ოქროს ურდოს ქალაქებში შენდებოდა ციხე-დარბაზები თავისი მიწებით, რომლის ირგვლივაც ხალხი ცხოვრობდა. ოქროს ურდოს აღზევების ხანაში დიდებულები ციხე-დარბაზებში ცხოვრებას იწყებენ.

უზბეკ ხანის დროს ციხე-დარბაზების რაოდენობა გაიზარდა. დღითი დღე იზრდებოდა მეჩეთების, ბაზრობების, ზარაფხანებისა და სახელოსნოების რიცხვი. ჩამოვთვლით ოქროს ურდოს მნიშვნელოვან ქალაქებს: აზაკი, ბარჩინი, ბაქო, ბოლგარი, დარუბანდი, გულისტანი, ყირიმი, ყირიმ-ჯადიდი, მაჯარი, მაჯარ-ჯადიდი, მოჰში, ორდუ, ორდუ-ჯადიდი, ორდუ-ფაზარი, რეჯანი, სარაი, სარაი-ჯადიდ, სარაიჯიქი, სიღნაღ-ჯადიდი, თავრიზი, უქექი, შირვანი, ჰაჯითარჰანი და შამახი. ამ ქალაქთა არსებობა მიუთითებს, რომ ოქროს ურდოს სახელმწიფო მხოლოდ „სტეპების იმპერია“ არ ყოფილა. ამათ გარდა ცნობილია აგრეთვე ისეთი კულტურის ცენტრები, როგორებიცაა ხვარაზმის უმთავრესი ქალაქი ურგენჩი და საქსინი.

ოქროს ურდოს დედაქალაქი „სარაი“ იყო, რომელიც ყივჩაღთა მეორე ლაშქრობიდან დაბრუნებისას ბათო ყაენმა, მდინარე ვოლგის მარცხენა ნაპიროზე, ვაკე ადგილას დაარსა. 1254 წელს მონღოლეთიდან დაბრუნებული რუბრუკი ბათოს მიერ მდინარე ვოლგაზე აშენებული ახალი ქალაქის „სარაის“ შესახებ მოგვითხრობს. „სარაი-ბათო“-ს სახელით ცნობილი პოლიტიკური ქალაქი, აბრეშუმის გზაზე მდებარეობის გამო, ვაჭრობის მეშვეობით მოკლე ხანში განვითარდა და აღმოსავლეთ ევროპასა და დასავლეთ ციმბირს შორის მნიშვნელოვან ცენტრად იქცა. ბათოს დაარსებული ძველი სარაის გარდა, ბერქემ იმავე სახელწოდებით ახალი ქალაქი დააარსა. მისი მმართველობის ხანაში, დედაქალაქის მდებარეობა შეიცვალა და უფრო განვითარდა. სავაჭრო საქმიანობის გაზრდისა და კეთილდღეობის მიზნით, სავაჭრო გზების ხელსაყრელი მდებარეობის გამო, დედაქალაქი, სარაიდან მდინარე ვოლგის ზემო წელში, ახალ სარაიში გადაიტანეს.

იბნ-ი ბატუტა ქალაქ სარაის სამყაროს ყველაზე ლამაზ ქალაქად მოიხსენიებს და მისი ცხოვრების შესახებ დაწვრილებით ცნობებს გავწვდის.

ნაშრომში ვსაუბრობთ ოქროს ურდოს სხვა მნიშვნელოვან ქალაქებზეც, როგორცაა: უქექი, ბოლგარი, სარაიჯიქი და სხვა.

## **დასკვნები**

1206 წელს ჩინგიზ ხანის მიერ დაარსებული მონღოლთა სახელმწიფო სწრაფად გაიზარდა და განვითარდა. მისი სახით მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე მოულოდნელად ახალი, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა გაჩნდა. მონღოლთა

სახელმწიფომ აღმოსავლეთ ევროპიდან წყნარ ოკეანემდე უამრავ ქვეყანაზე იქონია გავლენა და ზოგიერთი მათგანის ნგრევისა და განვითარების შეფერხების მიზეზი გახდა. ჩინგიზ ხანის ვაჟის, უგედის ბრძანებით სამხრეთ კავკასიაში გამოჩენილი მონღოლები, 1220 წელს საქართველოში შემოიჭრნენ და ერთ საუკუნეზე მეტ ხანს ბატონობდნენ აქ. მონღოლთა შემოსევამდე რეგიონის ყველაზე ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება საქართველო, მტრის შემოსევებს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ უშედეგოდ. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები, მეზობელ ქვეყნებთან მოკავშირეობით იბრძოდნენ და ხშირად აწყობდნენ აჯანყებებს მონღოლთა წინააღმდეგ, საშინაო პრობლემებმა და მმართველთა არასაკმარისმა გამჭირახობამ წარმატებამდე ვერ მიიყვანა.

კვლევის პროცესში მიღებული შედეგები სამეცნიერო თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს. კვლევის შედეგები შემდეგნაირად შევაჯამეთ:

1. საქართველოს ისტორიის მთავარი წერილობითი წყარო „ქართლის ცხოვრება“ ბათო ხანს დიდ ყაენად მოიხსენიებს, რაც ბიბლიოგრაფიაში მოტანილ არცერთ წყაროში არ ფიქსირდება. ბათო ხანი მონღოლეთის იმპერიაში რაც არ უნდა პატივსაცემი და გამორჩეული ხანი ყოფილიყო, მონღოლეთის იმპერიის მმართველი არასდროს ყოფილა, თუმცა, გოიუქ ხანის გარდაცვალების შემდეგ მენგუ ხანს ტახტზე ასვლაში დაეხმარა. მიზეზი იმისა, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ბათო ხანი ამ ფორმით მოიხსენიება, საქართველოს მმართველებისა და ბათო ხანის მჭიდრო ურთიერთობებია. ამ პერიოდში მონღოლთა იმპერიასა და საქართველოს შორის ურთიერთობები ბათო ხანის მეშვეობით ხორციელდებოდა, მისი ყაენად მიჩნევა სწორედ ამ მიზეზით უნდა იყოს განპირობებული.

2. მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ სამეფოსა და ამ რეგიონს მონღოლი სამხედროები მართავდნენ, რომლებიც 1241-1255 წლებში ქალაქ „სარაი“-ში მყოფი ბათო ყაენისგან იღებდნენ ბრძანებას. საქართველო ამ პერიოდში ოფიციალურად ოქროს ურდოს სახელმწიფოს ბატონობის ქვეშ არ იმყოფებოდა, მაგრამ ყარაყორუმსა და საქართველოს (მთელი სამხრეთ კავკასიას) შორის არსებული საკითხები ბათო ხანის მიერ იმართებოდა.

